

გაზეთი ბეჭდის, „ვერსია“ ერთი

ვერსია



60 თეთრი
ორშაბათი

№125 (1151) 7 - 8 დეკემბერი, 2016 წელი

მთხვაბათი

პარასკევი

დაკანონებული
საარჩევნო ქაოსი



3
თბი „ნაღმი“, რომელიც 2016 წლის არჩევნებს ააფეთქებს

დიმიტრი შაუკინი: „ქვეყანას აღარც დედა ჰყავს და აღარც მამა!“



33. 4-5

„— ბატონო დიმა, წამების ის კადრები, რაც უკრაინულ საიტებზე გავრცელდა და თავის დროზე ჟურნალისტებს დახურულ შეხვედრაზეც გვაჩვენეს, ნანახი გაქვთ?
— ასეთ კადრებს რომ უყურო, ავადმყოფი უნდა იყო!.. მე, ჩვეულებრივმა მოქალაქემ ამაზრზენ საზიზღრობას, რომელიც ვილაც ავადმყოფის მიერაა გადაღებული, რატომ უნდა ვუყურო?!
— იმიტომ, რომ თქვენს ხელისუფლებას ეხება!
— ამაზე პასუხი ვაგეთ!.. 2012-ში, როცა აშშ-ში ვიყავი, სენატსა და კონგრესშიც, ბუნებრივია, ბევრი მეგობარი მყავს და ერთმა მითხრა, ახალი მთავრობის წარმომადგენლები იყვნენ, ამ კადრების დისკები დაგვირიგეს და ეგენი ავადმყოფები არიანო?..
— იმასაც ამბობენ, წამების ე.წ. ხარისხიანი კადრები მიშასთან მიჰქონდათ და ექსპრეზიდენტი უყურებდაო...
— რა სისულელეა!“

განათლებისა და თავდაცვის ყოფილ მინისტრს საქმე ტორცის ქამისტვის აღუძრეს

არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ

ეკონომიკური სარგებელი, რომელსაც საქართველო
რუსეთ-თურქეთის დავირისპირებით ნახავს



33. 6

რა რისკვაქცორების
გათვადისწინებს
ურჩევს დევან კადანდაძე
მთავრობასა და ბიზნესს

ბოზი ნათიასა და ზესტაფონელი
პავლიკას სიყვარულის ამბავი

როგორ აბამენ
პაციმრები
პოდიციკოს
დიაცებს

33. 8



პაციმრის
დღიური

თბილისის სამი საავადმყოფოს
მართვაზე, ფლობასა და ოპერირებაზე
გამომსახლებელი ბენდარის საბოლოო
შედეგები ხმოვილი მალე გახდება



33. 7

ჰიპერმარკეტ
ბორბიანი საახალწლო
ფანდაკლები დაიწყო

ბორბიანა
მშენებლობა რემონტი

ნიმო კომახიძე
599-95-33-16

ნიმორბედების მსგავსად, საარჩევნოდ ცვლილება კანონებში „ოცნებასაც“ შეაქვს და თუკი „ძველები“ ცვლილებებს ვეროპა-აშშ-სა თუ ვენეციის კომისიის მოთხოვნით ამართლებდნენ, მოქმედი ხელისუფლება ასოცირების ხელშეკრულებას იშველიებს. არავინ დაეობს, რომ ცვლილებათა ნაწილი კარგია, ნაწილი — ფასადური, თუმცა ისეც ხდება, კარგ იდეას არასწორი ფორმა ეძლევა და ჯამში, არ ამართლებს. საარჩევნო ცვლილებებში „ვერსიამ“ რამდენიმე ისეთ პოლიტიკურ „ნაღმსაც“ მიაგნო, რომელმაც შესაძლოა, ისევ ცვლილებების ინიციატორი ხელისუფლება ააფეთქოს. მოკლედ, რამდენიმე საკანონმდებლო „ნაღმს“ წარმოგიდგეთ.

**ნაღმი №1 — გენდერული კვლავი
თუ „პაქალი ქალბის“ პარალელში**

პარლამენტში, „საარჩევნო კოდექსსა“ და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტი ნანა ყინიძის ინიციატივითა და თემურ ჭყუაძის სახელითაა ინიცირებული. ავტორი კი თამაზ კრავიშვილია. ცვლილებების მიხედვით, პროპორციულ საარჩევნო სიაში, სქესთა შორის ბალანსის დაცვის მიზნით, ყოველი მესამე განსხვავებული სქესის უნდა იყოს, რაც საკანონმდებლო ორგანოში, მინიმუმ, 23 ქალის მსგავსად უზრუნველყოფს. ამ თვალსაზრისით, დღევანდელი მდგომარეობა სახარბიელო ნამდვილად არ არის: 150 დეპუტატიდან მანდილოსანი მხოლოდ 18-ია, მთავრობაში, 19 მინისტრიდან — 3; 69 გამგებლიდან — 2; 12 თვითმმართველი ქალაქის მერიდან კი ყველა მამაკაცია. ინიციატივა მართებული და არაა თუ დროული, შეიძლება ითქვას, დაგვიანებულიცაა, მით უმეტეს, გენდერული ბალანსის დასაცავად, 40%-იანი კოეფიციენტი რეკომენდებულია საქართველოში ევროსაბჭოსთანაც მიიღო, თუმცა არის თუ არა სავალდებულო კვლევების იდეა ქართულ რეალობაზე მორგებული, ეს სხვა თემაა. მრავალფეროვანი საქართველო ტრადიციების ქვეყანაა. მართალია, ლიდერი და პოლიტიკოსი ქალები ყოველთვის გვყავდა, მაგრამ არაა გამორიცხული, პოლიტიკაში ქალთა რაოდენობის გაზრდის ხელშეწყობის მეთოდი გარკვეულ ბარიერად იქცეს და აი, რატომ: აქვთ კი დღეს პოლიტიკურ, განსაკუთრებით, ე.წ. ერთკაციან ოპოზიციურ პარტიებს იმის რესურსი, პარტიული სივრცე მესამედი პოლიტიკურად აქტიური ქალები დააკომპლექტონ? თუკი პარლამენტის წარმომადგენლობითობაზე ვსაუბრობთ, ვინმე იმაზეც თუ ფიქრობს, მაინც რამდენი ქალი შეძლებს, მაგალითად, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და მაღალმთიანი აჭარის რაიონებიდან პოლიტიკურ აქტიურობას, სიაში ყოფნას, აქტიური საარჩევნო კამპანიის წარმოებას და უფრო აქტიურ საპარლამენტო ცხოვრებას? ტრადიციების, შეზღუდვების, რელიგიის გათვალისწინებით რამდენი, ვთქვამთ, დასაბუთებული ქალბატონი მოხვდება სიაში თუ ბოლოს ისე გამოვა, რომ ეს კანონი რეალურად, ვაკელი და საბურთალოსელი ქალებისთვის მივიღოთ? ესეც რომ არაა, ჩვენთან, ქალი და მამაკაცი ჯერ უფლებბრძოლაში არაა თანასწორი და რომელ პოლიტიკურ თანასწორობაზეა საუბარი? ან, არის თუ არა პოლიტიკურ პარტიებში იმის რესურსი, პარლამენტში ერთდროულად, ათეულობით პროფესიონალი პოლიტიკოსი ქალბატონი გაიყვანონ, რათა მერე საზოგადოება ისევ პროფესიონალების ნაკლებობას არ უჩიოდეს?

ნიმო ლომჯარია, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ აღმასრულებელი დირექტორი: „არავინ უარყოფს, რომ სავალდებულო გენდერული კვლავი ნამდვილად ხელსაყრელი და დროებითი მექანიზმია და არც შეიძლება, კანონმდებლობაში მუდმივად დარჩეს. მისი საშუალებით, სახელმწიფოში ქალთა მეტი ჩართულობა პოლიტიკაში ხელსაყრელად უნდა ნახანალიყოს. ასეთი მექანიზმები ქვეყანაში მაშინ შემოვიდეს, როცა შედეგი ერთ სხვა მეთოდსაც არ მოაქვს და ქალებსა და მამაკაცებს შორის მაინც დიდი დისბალანსია. ქალთა მოძრაობაში ბევრი ისეთი ორგანიზაცია ჩართულია, რომლებიც წლების განმავლობაში, ოპოზიციურ პარტიებთან, განსაკუთრებით კი, მათ ქალ აქტივისტებთან მუშაობდნენ. მათი ინფორმაციით, პარტიულ ცხოვრებაში ძალიან ბევრი ქალია ჩართული, მაგრამ მათ დაბალი პოლიტიკური პოსტები უკავიათ და პარტიებში, წევრების წახალისება და დაწინაურება დემოკრატიული წესით არ ხდება. პროცესი, თუ ვის ჩაენერს პარტია პროპორციულ სიაში, დახურულია და როგორც წესი, მეგობრულ-ფინანსურ კავშირებს ეყრდნობა, რაც პოლიტიკაში აქტიური ქალების მოხვედრას უშლის ხელს. რაც შეეხება ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების საკითხს, ჯამში, რა თქმა უნდა, ქალთა უფლებები და პრობლემები ცალკე განხილვის თემაა, თუმცა ამის გამო არ ვფიქრობ, რომ სივრცე მართლდება ქალების აქტიური ქალები მოხვდებიან, მით უმეტეს, მაჟორიტარული არჩევნებიც გვაქვს და შესაძლოა, ადგილებზე ქალი კანდიდატებიც დასახელდნენ. მეტყველება, ვინმემ ვინმე აიძულოს, თავისი რელიგიისა და ტრადიციის წინააღმდეგ წავიდეს. ამიტომ არ მგონია, ეს იმ დონის პრობლემად იქცეს, კვლევების საჭიროებას დაუპირისპირდეს, თუმცა ზოგადად, ამ ნაწილში იმაზე გაცილებით სერიოზული პრობლემები გვაქვს, ვიდრე პოლიტიკური აქტიურობა“.


პარტიებსაც არც ის უნდა დაავინწყდეთ, რომ თუ ამ კანონის მოთხოვნას არ შეასრულებენ და პროპორციული სისის მესამედს ქალებით არ დააკომპლექტებენ, ცესკო რეგისტრაციაში არ გაატარებს და ვერც არჩევნებში მიიღებენ მონაწილეობას.

**ნაღმი №2 — ვისი სოფალი ვის რაიონშია
ანუ საარჩევნო ოლქების დაქარა**

რამდენიმე თვის წინ, საკონსტიტუციო სასამართლომ ხელისუფლებას საარჩევნო ოლქების გათანაბრებისკენ მოუწოდა, რაც პოპულარულ ენაზე იმას ნიშნავს, რომ ერთი ამომრჩევლის ხმას ყველა რაიონში თანაბარი ძალა უნდა ჰქონდეს. ამ პრინციპის მისაღებად, ამომრჩევლის სრული რაოდენობა მაჟორიტარული ოლქების რიცხვზე უნდა გაიყოს და შედეგად, დაახლოებით 50 000 ხმას ექვემდებარება ოლქის მაჟორიტარული თანაბარი რაოდენობის ამომრჩეველი აირჩევს, მაგრამ ამისთვის გადასახედი ვახდება საარჩევნო ოლქების საზღვრები და პატარა, 5 000 და 6 000-კაციანი ოლქების დაჯგუფება.

დაკანონებული საარჩევნო ქაოსი

ოთხი „ნაღმი“, რომელიც 2016 წლის არჩევნებს ააფეთქებს



ბაც დაგვიჩვენებ, შესაბამისად, რამდენიმე მაჟორიტარული ოლქი საერთოდ გაუქმდება. ამავე პროექტის მიხედვით, თბილისში, 10 მაჟორიტარული ოლქის ნაცვლად, 18 იქნება. 13 ოლქის საზღვრები მუნიციპალიტეტის საზღვრებს ემთხვევა, ამიტომ იქ არაფერი შეიცვლება, აი, 42 მაჟორიტარული ოლქი კი საარჩევნო უბანზე თავიდან უნდა „გამოგვრათ“, რაც ბევრ დამატებით გაუგებრობასა და თავისუფლებას გააჩენს.

აქ კიდევ ერთი, უხეშად რომ ვთქვათ, კუთხური სეპარატიზმის საფრთხეცაა — როცა, მაგალითად, მარდმენვენე მაჟორიტარი სუფიანიანი, ვიქტორ ჯავახიძე რეგიონის ავტონომიაზე საუბრობს, დათანხმდება თუ არა სვანეთისთვის სამეგრელოს სოფლების მიერთებას, საიდანაც, დიდი ალბათობით, ხმებს ვერ აიღებს, ანდაც, საზღვრები ხელსაყრელი იქნება არ დაიჭრება, როგორც ეს ხელისუფლების კონკრეტულ კანდიდატებს აწყობთ? „ვერსიასთან ერთად ამ თემაზე ცესკო-ს ყოფილმა თავმჯდომარემ, ოპოზიციური პარტიის ლიდერმა ზურაბ ხარატიშვილმა იმსჯელა: „დღის ნესრიგში დგება თემა, რაც არჩევნების წინ დიდ არეულობასა და გაუგებრობას გამოიწვევს. აქამდე რაიონების საზღვარი გარკვეული იყო და მოსახლეობამ იცოდა, მისი სოფელი რომელ ოლქში შედიოდა. ახლა კი ერთი განვე-გამოწვევა ატყდება, ვიდრე გაარკვევენ, რომელი სოფელი რომელ ოლქს მიაკუთვნონ. ერთ კლასიკურ მაგალითს გეტყვი: აშშ-ში, ერთ-ერთმა გუბერნატორმა საარჩევნო უბნები ოლქებად ისე დაყო, რომ საკუთარი გამარჯვება უზრუნველყო. მაგალითად, ხარატიშვილმა კატარა, ზესტაფონი დიდა, გამოდის, ზესტაფონს უნდა მოაჭრას სოფლები და ხარატიშვილს მიუმატონ. ხარატიშვილი კანდიდატი ჩათვლის, რომ ზესტაფონის სოფლებში მანსი არ ექნება, ამას არ მოინდობს და ასე ვერასოდეს შეთანხმდებიან — დაიბნევა ამომრჩეველიც. ამ საზღვრების ახლიდან დაყოფას „ოცნებაშიც“ დიდი ქაოსი და წივილ-კივილი მოჰყვება. სწორედ ამიტომ ამბობდა ოპოზიციაც, პრეზიდენტიც, არასამთავრობო და საერთაშორისო სექტორიც, არჩევნები საერთო პროპორციული და რეგიონულ-პროპორციული წესით ჩავატაროთ. ასე პარტიებსაც განვითარების მეტი შანსი მიეცემა, არც მაჟორიტარული კომპონენტი დაიკარგება და არც საზღვრების შეცვლა და მაიმუნობა დაგვიჩვენდება. პირდაპირ რომ ვთქვათ, დევანდელი სისტემა ხელისუფლებას 20-30-მანდატიან ფორას აძლევს. მაგალითად, თბილისში „ოცნება“ ხმების 44% აიღო, მაგრამ 76 მანდატი ერგო. პროპორციული სისტემა კი იმას უზრუნველყოფდა, ყველას იმდენი ადგილი რგებოდა პარლამენტში, რამდენ ხმასაც აიღებდა. იმედია, „ოცნებას“ გონიერება ეყოფა და საკუთარი თავისა და მომავალი არჩევნების დელეგატიმაციისკენ არ წავა!“

ნაღმი №3 —

მაჟორიტარულ-პროპორციული პარიზები

ოლქების გახლეჩის გარდა, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დავალდებულებული ცვლილებების „ოცნებისეული“ გაგება კიდევ ერთ პრობლემას წარმოშობს — რაიონების დაყოფა-გაერთიანებით, რამდენიმე მაჟორიტარული ოლქი საერთოდ ქრება, შესაბამისად, აღარც ამ ოლქების მაჟორიტარები იარსებებენ. მაგალითად, გვექნება ასეთი საარჩევნო ოლქი: ბაღდათი-ხარატიშვილი დამატებული ორი სოფელი — პირველი და მეორე სვირი. ასევე, სამტრედიის ოლქი გაიჭრება და ერთ ნახევარს ვანი, მეორეს კი ხონი დაემატება. სამი რაიონის გაერთიანებით ორი ოლქი რომ გამოდის და ორი მაჟორიტარი უნდა ავირჩიოთ, საინტერესოა, ის „გამოკლებული მესამე“ რატომ არაფერს აპროტესტებს?! გამოდის, „ოცნებაში“ ახლა დიდი განვე-გამოწვევა და შეთანხმება-გარიგება მიდის, რათა ამ მეთოდით გამოკლებული მაჟორიტარები დააკმაყოფილონ. პოლიტიკური კორუფციის საფრთხის შესახებ „ვერსიასთან“ ქდმ-ს ლიდერი გოჩა ჯოჯუაძე საუბრობს:

„მაჟორიტარობის შინაარსი მის მიერ კონკრეტული რაიონის წარმომადგენლობაა. „ოცნება“ სწორედ იმით აპელირება, მითინა ყაზბეგს დეპუტატი როგორ წავართვა, მაჟორიტარულ სისტემას ვერ ვაუქმებო. ახლა კი ადგა და ეს შენი ყაზბეგი სხვა რაიონს მიუერთა — ახლა აღარაა პრობლემა, ყაზბეგს თავისი მაჟორიტარი რომ არ ეყოლება? სამტრედიის კი ორმა ცნობილმა ადამიანმა, ვიცე-პრეზიდენტმა კალაძემ და ვიცე-სპიკერმა ძიძიურმა საკუთარი რაიონის ინტერესი ვერ დაიცვა და სამტრედიის ოლქს დაუბრუნა. ასე გაერთიანდა სამი ოლქი, რომელსაც სამის ნაცვლად, ორი მაჟორიტარი ეყოლება. პარლამენტში წარმომადგენლობითობის პრინციპი მაინც დაირღვა და „ოცნებას“ ბარემ ეს პრინციპი უკეთესი საარჩევნო გარემოს მისაღებად დაერღვია და არა — უარვისის! ხმას არც ის მაჟორიტარები იღებენ, ვისი ოლქიც უქმდება და გამოდის, ახლა პარლამენტში რალაც გარიგებები მიდის. თურმე, ჯერ სწორედ მაჟორიტარები არ უჭერდნენ ხმას საკონსტიტუციო ცვლილებას, მაჟორიტარული წესის გაუქმების შესახებ და ვერც „ოცნება“ უხეშდა წინააღმდეგობას, უმრავლესადაც დაგვიჩვენებო. ახლა კი ხელისუფლების შესაწარმებლებად, ეს მოლაპარაკება მოხერხდა. ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური კორუფციის თემაა — ამ მაჟორიტარებს ან სიაში ჩაენერს და-

პირდნენ, ან სხვა რამეს. სახეზე გვაქვს პოლიტიკური გარიგება, უკეთესი ცვლილებების სახელით“. ზოგადად, მაჟორიტარების პროპორციულ სივრცეში დაზღვევა ყველა ხელისუფლებას ყოველთვის უყვარდა. ახლა კი, დიდი ალბათობით, „ხედეტი“ მაჟორიტარების სიჩქარე პარტიების პროპორციული სივრცის ე.წ. გამსვლელ, მონინავე ნომრებში გაიცვალა.

**ნაღმი №4 — „შესწავლის განსწორება“
ანუ სვლილაგები, რომელთა მიღებას
„ოცნება“ დაელოცება**

საარჩევნო კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებები, რომელთა პროექტი პარლამენტში უკვე ინიცირებულია, ერთი დაპირებული პუნქტის, მაჟორიტარულ არჩევნებში ბარიერის 50 %-მდე ანევის გარეშე გადის. ამ თემაზე განმარტება იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ვახტანგ ხმალაძემ გააკეთა, მაჟორიტარული არჩევნების ბარიერის გაზრდისთვის საჭირო ცვლილებები აუცილებლად მომზადდება, მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების ამ შეცვლილა, უბრალოდ, ვერ მოვასწარიოთ. „პირველი რიგის პროცენტა იყო, დროულად დაგვიყვანო პროექტის ინიცირება მაჟორიტარული ოლქების დაყოფის სქემაზე, რათა ვენეციის კომისიისთვის გადაგვეგზავნა და მისგან შენიშვნები და რეკომენდაციები მიგვეღო. ამის შემდეგ, ცვლილებები კანონში დროულად უნდა ავსახოთ. ასე რომ, ამ პუნქტის პროექტში არმოხვედრად მხოლოდ სიჩქარით არის გამოწვეული. 50%-იანი ბარიერის პირობა აუცილებლად შესრულდება“, — დააზუსტა ხმალაძემ და ოპოზიციის აზრზეც ორად გაყო: ერთი ფიქრობენ, რომ 50%-იანი ბარიერის შემოღება მხოლოდ ხელისუფლებას აწყობს, რადგან ოპოზიციის წევრების მიერ მაჟორიტარული კანდიდატს გაუჭირდება პირველივე ცდაზე 50%-იანი ბარიერის გადალახვა და მანდატის დასაკუთრება. ნაწილობრივ, ლოგიკა მათ მხარესაცაა, თუმცა მეორე ნაწილი ამ თემას უფრო რეალისტურად ანალიზებს და მაინცაა, რომ 50%-იანი ბარიერის არარსებობის პირობებში, პირველ ადგილზე, 30, 35 ან 40%-ით უმეტეს მაჟორიტარულ რაიონებს ხელისუფლება მოიგებს. იმ შემთხვევაში კი, თუ 50%-იანი ბარიერი, ხმალაძის თქმის არ იყო, უბრალოდ, სიჩქარის გამო არ შევიდა ცვლილებათა პროექტში, საბოლოოდ, მაინც შევა და ოპოზიციასაც შანსი უჩნდება — ბარიერის ვერგადალახვის შემთხვევაში, პირველ ადგილზე გასული მაჟორიტარი მანდატს ჯინგის მაშინვე ვერ ჩაიღებს, მეორე ტური დაინიშნება და ოპოზიციას შანსი აქვს, გაერთიანებისა და ძალთა მობილენების შემთხვევაში, სახელისუფლო კანდიდატი დაამარცხო. ჯერი „ოცნებაზე“, თუმცა დაამატებს თუ არა ცვლილებათა პროექტს ბარიერის საკითხს, ოპოზიციის ერთი ნაწილი მაინც უემყყოფილო დარჩება.

ვახტანგ ხმალაძის სახელთან დაკავშირებული „შეცდომების განსწორება“ ამით არ სრულდება. 13 ივნისის ტრავმის შემდეგ, „მოხალისეთა შესახებ“ კანონპროექტი გაატეხიდა, რომელსაც სახელმწიფოსა და მოხალისეების ურთიერთობა და პასუხისმგებლობა უნდა მოეწესრიგებინა. შემოდგომაზე, როცა ახალი პოლიტსეზონი გაიხსნა და არჩევნების მოახლოებაც ვიგრძენით, ამ პროექტზე საუბარიც ახალი ძალთა დაიწყო, მასში ჩადებული ერთი საეჭვო პუნქტის გამო. ამ პუნქტის თანახმად, მოხალისეების მასპინძელი ორგანიზაცია პოლიტიკური პარტია ვერ იქნებოდა. ეს კი, არჩევნების მიჯნაზე, ოპოზიციის მოხრჩობას ნიშნავს, რომელსაც, მწირი ფინანსური რესურსის გამო, ძირითადად, სწორედ მოხალისეები ეხმარებიან, რომელთაც სიმბოლურ ანაზღაურებას უხდის ან საერთოდ არ უხდის. ის-ის იყო, არასაპარლამენტო ოპოზიციის ახალ თემაზე საბრძოლველად მოეწედა, რომ ხმალაძე-მოროტაძემ კანონპროექტიდან ეს სადავო პუნქტი ამოიღეს და საგანგებოდ, პირველივე პუნქტში ჩაენერს, აქტივისტისა და პარტიის ურთიერთობას ორგანიზული კანონი დაარეგულირებსო. როგორც ოპოზიციის ლიდერებმა განმარტეს, „ოცნება“ ეს პუნქტი მათთვის კი არა, საკუთარი თავისთვის ამოიღო, რადგან სხვანაირად, არჩევნებში დახარჯულ ფულს, რომლის დიდი ნაწილი ყოველთვის შრომით ანაზღაურებაზე მიდის, ვერ „გააპრავენდა“.

და კიდევ ერთი: როგორც საგარეჯოს შუალედურმა არჩევნებმა აჩვენა, პოლიტიკურ და სამოქალაქო სპექტრს ე.წ. სპეცულებზე, რომლებიც დახურულია და სადაც ხმას სამხედრო პირები აძლევენ, ბევრი კითხვა აქვს. არავითხელ გვინახავს სპეცულების ხმებით მოგებული არჩევნებიც სხვადასხვა რაიონში. თავდაცვის მინისტრმა და საგარეჯოს ექსმაჟორიტარმა თინა ხიდაშელმა, როგორც ჩანს, მომავალი გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, განაცხადა, 2016 წლის არჩევნებისთვის, სპეცულებზე საერთოდ უარი უნდა ვთქვათ. ჩემმა მოადგილემ ამ ცვლილებაზე მუშაობა უკვე დაიწყო, მაგრამ შეფასებები, რომ სამხედროები რაიმე ფორმით საფრთხეს უქმნიან საარჩევნო პროცესს, სუპერუსინდისობააო.

„სუპერუსინდისობა“ არ ვიცი, მაგრამ თუ ხელისუფლება ცვლილებებს არ დახვეწს და ამ პროცესში, წინამორბედებით, არასაპარლამენტო ოპოზიციასაც არ ჩართავს, საბოლოოდ, თავის მიერ დადებულ „საკანონმდებლო ნაღმზე“ თავადვე აფეთქდება.

დიმიტრი შაშკინი: „ქვეყანას ალარს დედა ჰყავს და ალარს მამა!“



მანო ჰავლიაშვილი

...შეხვედრას „რადისონში“, მე-18 სართულზე, ბარში მიტევენ... მისვლას რამდენიმე წუთით ვასწრებ. ვურეკავ, ხომ არაფერი შეიცვალა-მეთქი. არა, მანქანას ვაჩერებ და ამოვიდვარო... ამოვიდა, მაგრამ ისევ დაბლა ჩასვლა მოგვიხდა — მე-18 სართულის ბარში ადგილი არ აღმოჩნდა... ბოლოს, აზიურ ბარში დავსხედით... უშაქრო ყავას შევექცით და... საათზე მეტხანს ვისაუბრეთ. „არ მესმის, ამ მთავრობას, ყოველდღიურ კი არა, გლობალურ რეჟიმში რა უნდა — ნატო, რუსეთი, სოციალიზმი თუ კაპიტალიზმი“, — მითხრა ბოლოს. მანამდე კი ბევრ თემას შევეხეთ და მსგავსებაც აღმოვაჩინე: ჩემი არ იყოს, თურმე, დიაბეტი აქვს, თუმცა მიუხედავად ამისა, ლამის ტორტის ჭამისთვის გაასამართლეს... აღარ მივედ-მევედები და სასჯელი მინისტრის, განათლებისა და თავდაცვის ყოფილი მინისტრის, დიმიტრი შაშკინის არა-ჩვეულებრივ ინტერვიუს წარმოგიდგენთ.

— ბატონო დიმიტრი, რალა დაგიმალათ და, ძალიან გა-მიკვირდა, რომ ქალაქში თავისუფლად დადიხართ...

— რატომ არ უნდა ვიარო?

— თავიდან გარკვეული პრობლემები არსებობდა, მერე აგრესია თითქოს მინავლდა, ბოლოს, ნაციონალებს კვერ-ცხები ისევ ესროლეს... ხალხისგან რას გრძნობთ?

— ის სამი წელი, რომელიც საქართველომ 2012 წლის შემდეგ გაიარა, შეგვიძლია, სამ ეტაპად გავყოთ: პირველი ეტაპი არჩევნების შემდეგ იყო, როცა იმ აგრესიამ, რომელსაც ახალი მთავრობა საზოგადოებაში კულტივირებდა, რამდენიმე თვე გაძლო; მერე მეორე ეტაპი დაიწყო და ეს იყო აგრესია არა მხოლოდ ყოფილი მთავრობის, არამედ, ყველაფრის მიმართ.

— ხალხს ყველაფრის მიმართ აგრესია რატომ ჰქონდა?

— იცით, რა არის? — 21-ე სექტემბერს, „ვარდების რევოლუ-ციის“ მერე, ძალიან ბევრი მტკიცებულება გვქონდა და, ბუნებრივია, ძალიან ბევრი ადამიანი განწყობდა. მაგალი-თად, როცა 60 ათას „გაიშნიკს“ სამსახურიდან გააგდებ, შენს მიმართ ნეგატიურად 60 ათასი ადამიანი იქნება განწყობილი, მაგრამ რევოლუციის აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება იყო, რადგან ეს ქვეყნისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე, თუნდაც, ათიათასობით უკმაყოფილო ადამიანი.

— შეიძლება, მაგრამ რევოლუციები დიდხანს ხომ არ გაგ-რძელდა?

— ეს სფეროების მიხედვითაა. მაგალითად, განათლებაში რევოლუციები დაგვიკანთ — ჩემი აზრით, ის რევოლუციები, რომ-ლებიც განათლების სისტემაში 2010 წელს გავატარეთ, 2004-2005 წლებში ბევრად უმტკიცებელი იქნებოდა... მე, როგორც განათლების მინისტრმა, სკოლების ადმინისტრაციული პერ-სონალი 15 ათასი ადამიანი შევამცირე. აქედან აბსოლუტური უმრავლესობა დირექტორის ნათესავი იყო ანუ დირექტორები თავიანთ ახლობლებს ასაქმებდნენ და სკოლებს ახალი მერ-ხებისთვის, შუქისა თუ გაზისთვის ფული აღარ ჰყოფნიდათ.

— 15 ათასი ადამიანი შეგნებულად შეამცირეთ?

— დიახ.

— ამით ხელისუფლებას და ხალხს შორის დაპირისპი-რება ხომ გაიზარდა?

— ორი გზა არსებობს: ან იმაზე ვიფიქროთ, ვაიმე, ვინმე არ გამოიბრუნდეს და არ შემოვიტყუოთ ან ის საქმე გავაკეთოთ, რომელიც საჭიროა. პირველი გზა შევარდნადის გზა იყო: გა-დატრიალების შემდეგ საქართველოში რომ დაბრუნდა, შე-ვარდნადის ძალიან მაღალი პოზიტიური რეიტინგი ჰქონდა და ხალხიც დიდი იმედით უყურებდა, მაგრამ არაფერი გააკეთა, რადგან ქვეყანაზე კი არა, სავარძელზე ფიქრობდა — მოდი, მთავრობა კარგად იყოს და არაფერი გავაკეთოთო. ის, ვინც არაფერს აკეთებს, ვერაფერს გააფუჭებს.

— სხვათა შორის, ხელისუფლებაში „ვარდების რევო-ლუციით“ მოსული ადამიანები, დიდი ხნის განმავლობაში, შევარდნადის გარემოცვის წევრები იყვნენ...

— ვერ დაგეთანხმებით.

— იგივე მიხეილ სააკაშვილი „მოქცემის“ ფრაქციის თავმჯდომარე იყო...

— როცა ამ ხალხმა დაინახა, რომ იმ მთავრობაში არაფრის გაკეთება შეუძლებელია, წავიდა.

— ჩვენში დარჩეს და, ამის დასაწახად სააკაშვილს ძა-ლიან დიდი ხანი დასჭირდა.

— მაინც, რამდენი?

— მინიმუმ, 4 წელი... ბატონო დიმიტრი, წელან გადატრია-ლება ახსენეთ, „ვარდების რევოლუციაც“ გადატრიალება იყო?

— არა, ეს კანონის ჩარჩოებში ხალხის აბსოლუტურად მშვიდობიანი პროტესტის გამოხატვა იყო.

— იმხანად, როგორც ვიცით, ამერიკულ არასამთავრობო ორგანიზაციაში საქმიანობდით, სადაც თავს, ალბათ, უფრო კომფორტულად გრძნობდით. პოლიტიკაში ჩართვა რატომ გადაწყვიტეთ?

— კი, უფრო მეტი ფულიც მქონდა და კომფორტიც, მაგრამ 2009 წელს, პრეზიდენტმა სააკაშვილმა მთავრობაში მოსვლა შემომთავაზა და ჩავთვალე, რომ ჩემი ქვეყნისთვის იქედან უფრო მეტს გავაკეთებდი.

განათლების და თავდაცვის ყოფილ მინისტრს საქმე ცორცის ქამისთვის აღუძრეს

— იმდროიდან მოყოლებული, თქვენს შესაძლო გაპრე-ზიდენტებაზე ბევრს ლაპარაკობდნენ...

— საქართველო, როგორც ყველა პოსტსაბჭოური ქვეყა-ნა, შეთქმულების თეორიის ქვეყანაა, რაც მენტალიტით კი არა, პოლიტიკური განათლების ნაკლებობითაა გამოწვეუ-ლი. ჩვენ ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყანა ვართ და კიდევ ბევრი დრო დაგვჭირდება, რომ ხალხში პოლიტიკის მიმართ ის განწყობა ჩამოყალიბდეს, რომელიც, მაგალითად, აშშ-ში ან საფრანგეთშია. ამ ქვეყნებში მესიჯი, რომ ხალხს უფასო ფული ექნება, არ იმუშავებს. საქართველოში კი, სამწუხაროდ, ასეთი მესიჯები მუშაობს.

— წესიერ ქვეყნებში მხოლოდ „უფასო ფული“ მესიჯი კი არა, უფასო კბილების პროგრამაც არ იმუშავებს...

— მაგალითად, აშშ-ში კუპონების პროგრამაა — ძალიან ღირებულ კუპონებს აძლევენ, რომ საჭმელი შეიძინონ. თუ გინდათ, სოციალურ პროგრამებში პოზიტიური ნახოთ, ნა-ხავთ, თუ ნეგატიური გინდათ, ნეგატიურს.

— ხომ შეგიძლიათ, პოზიტივი „ოცნების“ სოციალურ პროგრამებშიც დაინახოთ?

— სოცმხედველობით, ნეოკონსერვატორი ვარ და ის პო-ლიტიკა, რომელსაც „ქართული ოცნება“ ატარებს, პიროვნე-ბების გარეშე, ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია. საქარ-თველოში იდეოლოგია ყველასთვის გასაგები არაა, რადგან ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყანაა და დრო სჭირდება, რომ საზოგადოებაში იდეოლოგიური მიმართულებები ჩამოყალიბ-დეს. ჩემთვის უფასო არაფერია, მათ შორის, არც ჰაერი: თუკი ვიღაცამ ხე, რომელიც ფული გადაიხდა, დარგო და წყალი არ დაასხა, ჰაერიც არ იქნება ანუ ბუნებაში უფასო არაფე-რია და როცა გვეუბნებიან, უფასო განათლება, ჯანდაცვა ან ფული გვაქვსო, ამაში ვიღაც, პირდაპირ თუ ირიბად, იხდის.

— გეთანხმებით, მაგრამ ადამიანები თუნდაც „უფასო ფული“ ანკეს ეგებ, იმიტომ წამოეგნენ, რომ 9 წელი ქვე-ყანაში, როგორც ამბობდნენ, ტერორი იყო, თავისუფლად სუნთქვა არ შეიძლებოდა და ბიზნესს ართმევდნენ?

— ამ პრობლემას უფრო სიღრმისეულად ვუყურებ და ვთვლი, რომ საზოგადოებაში, თაობებს შორის მენტალური და სოცმხედველობრივი წინააღმდეგობა არსებობს, რაც ჩვეულებრივ განწყობებულ ადამიანზე ბევრად დიდია. ეს დიდი თემაა, მაგრამ ვეცდები, მოკლედ ავხსნა და ერთ მაგა-ლით მოვიყვან: როგორც განათლების მინისტრი, ბავშვებს ხშირად ვხვდებოდი და რამდენიმე შეხვედრას ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, შსს-სა თუ ენერგეტიკის მაშინდელი მინისტრიც დავხსრო. ბავშვებს პოლიტიკაზე კი არა, ეკონო-მიკაზე, უსაფრთხოებაზე ვლაპარაკობდით ანუ ეს აბსო-ლუტურად აპოლიტიკური შეხვედრები იყო. ბავშვები ერთი და იგივე კითხვას სვამდნენ: თუ ამბობთ, რომ საქართველოს ეკონომიკა ვითარდება და არ შეიძლება, არ დამეთანხმეთ, რომ 2003-დან 2012 წლამდე ბიუჯეტი 12-ჯერ გაიზარდა...

— მაპატიეთ და, თქვენი ოპონენტების არგუმენტი, ბი-უჯეტის ზრდის „საიდუმლო“ ბიზნესის დატერორება იყო...

— ასეთ არგუმენტს მეც გეტყვით: დღეს საქართველო იმი-ტომ ვერ ვითარდება, რომ ბიზნესს ფულის გადახდა არ უნდა ანუ თუ ვიღაცას რალაცის „გაპარავება“ უნდა, გაპარავებს. სხვათა შორის, არსებობს იდეოლოგია „სოფლიში“, რომელიც ჩემი აზრით, ყველაზე მავნე და საზიზღარია და რომელიც „გაუპარავებელს“ „აპარავებს“. მოკლედ, ბავშვები კითხულობ-დნენ, ამბობთ, ეკონომიკა ვითარდება და რატომ ქარხნებს არ აშენებთ, რომ ხალხი დაასაქმოთო. ეს კითხვა ჩემთვის სიურპრიზი იყო, რადგან 15 წლის ბავშვს, რომელსაც კომუ-ნიტურ პერიოდში არ უცხოვრია, არ შეიძლება, ასეთი მავნე იდეები ჰქონდეს. ჩვენს ოჯახებში სამი თაობა ცხოვრობს — ბებია-ბაბუა, მშობლები და ბავშვი, რომელზეც ბებია-ბაბუის ზეგავლენა ძალიან დიდია ანუ შვილიშვილს უყვება, რომ კო-მუნისტების დროს ხალხი სახელმწიფო ქარხნებში მუშაობდა. თავს არ ვაპატიებ, რომ სკოლებში ეკონომიკური ლექციების დაწერვა ვერ მოვასწარით, რათა ბავშვებს ასეთი იდეები აღარ ჰქონოდათ. ამან, ბუნებრივია, არჩევნებზე ზეგავლენა არ მო-ახდინა, რადგან ბავშვები არჩევნებში არ მონაწილეობენ, მაგ-რამ ეს საზოგადოებაში არსებულ პრობლემაზე მეტყველებს. დღეს ამბობენ, რომ საბჭოთა კავშირის ნოსტალგიაა, მაგ-რამ რეალურად, ეს ნოსტალგია არ არის.

— აბა, რა არის?

— ხალხის სამი კატეგორია არსებობს: ერთი, რომელსაც ფულს უხდია.

— ვის ფულს ხდით?

— ვინც მოსკოვში დადის და იქიდან ფული ჩამოაქვს. ნახეთ, ჩვენი ზოგიერთი პოლიტიკოსი ჟირინოვსკის ხვდება და გვინათ, იქ იმიტომ მიდის, ჟირინოვსკის ხელი ჩამოართვას?! იმ ხალხს, ვინც პრორუსულს აწვება, შემოსავალი საიდან აქვს, რომ ოფისი გახსნას? — ან სახელმწიფო აფინანსებს, ან ბიზნესს.

— თქვენ დროს ახალი პარტიები როგორ იქმნებოდა? მაგალითად, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა ნაცი-ონალებმა დააფინანსეს?

— გეტყვით... გასაგებია, ვინც ფულს იღებს. მეორე კა-ტეგორიაა, ვისაც მართლა სჯერა, რომ რუსეთი შეიძლება, ჩვენი მეგობარი იყოს. მათგან, ვინც პრორუსულია, ყველაზე დიდი ჯგუფი მესამე კატეგორიაა, რომელიც რუსეთს კი არა, თავის ახალგაზრდობას მისტირის და ეს პრობლემა ყველა პოსტსაბჭოურ ქვეყანაში დგას. ეს ადამიანები სკოლებში რუ-სულ ენას, ლენინის ძეგლს ან წითელ დროშას კი არა, თავიანთ ახალგაზრდობას მისტირან...

— და ალბათ, რუს „ნაშებსაც“...

— კი ბატონო... სამწუხაროდ, ამ ხალხს იმისთვის იყენებენ, რომ რუსეთზე „დააღინკონ“.

— რაც შეეხება ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას, ამ პარ-ტიამ ბარიერი გადალახა და სახელმწიფოსგან ფინანსდებოდა — გიორგი თარგამაძე და მისი გუნდის წევრები მაშინ ძალიან პოპულარულები იყვნენ და დიდი ფული არ სჭირდებოდათ.

— ანუ, ამბობთ, რომ ქრისტიან-დემოკრატიული მოძრა-ობა ნაციონალიზმის სატელიტი არ იყო?

— ესეც იგივე შეთქმულების თეორია და რალაც კლიშეა. კონტრკითხვას დავისვამთ: 2012 წლამდე, თითო ჩინელის გამოჩენაზე წიგნი-კვიცი იყო, მაგრამ 2012 წლის შემდეგ ჩინელებზე რამე გაგვიკით?

— სხვათა შორის, არა.

— 2007 წელს, IRI-ში ვმუშაობდი და „გელაშვილი“, ჩვენი დაკვეთით, კვლევა ჩაატარა, 80 პროცენტმა უპასუხა, რომ საქართველოში ცოცხალი ჩინელი არ ენახა, მაგრამ ყვირო-და, რომ ჩინელები რალაცას ართმევდნენ. მოკლედ, სრული მარაზმი იყო და, როგორ ფიქრობთ, ეს ისტერიკა 2012 წლის მერე რატომ დამთავრდა?

— არ ვიცი...

— ის ხალხი, ვინც ყვიროდა, ჩინელი მტერიო ან მთავრობა-ში, ან მთავრობასთან ახლოსა და აღარ ყვიროს. დღევანდელი ოპოზიციისთვის კი, მაგალითად ჩემთვის, აბსოლუტურად მიუღებელია, რომელიმე სხვა ეთნოსზე ვთქვა, რომ ცუდი ან კარგია. ჩემი სუბიექტური მოსაზრებაა, რომ ძალიან ბევრი კლიშე იმ ჯგუფის მიერ იყო შექმნილი, რომელიც ახლა მთავ-რობაშია. 2011 წელს, „ეხო მოსკვის“ რედაქტორი ვენედიქტო-ვი, რომელსაც ვუთხარი, რომ საქართველოში რევოლუციის გატარება უფრო რთულია, ვიდრე — რუსეთში, არ დამეთანხმა და ცოტა ვიკამათოთ კიდევ, მაგრამ ჩემი არგუმენტი ძალი-ან მარტივია: პატარა ქვეყანაში საზოგადოებრივი აზრის შექმნას 200-300 ადამიანი სჭირდება. მაგალითად, ახლახან, ჭავჭავაძეზე ძალიან ლამაზი განათება გააკეთეს. ეს ჩვენ რომ გავგვეკეთებინა, 200 ადამიანი უეჭველად გამოძვრებოდა და იყვირებდა, გალიები დაგვიკიდესო.

— ბატონო დიმიტრი, არავინ თარგამაძეს, რომ ნაციონალებს პი-არი გეხერხებოდათ. ჰოდა, თუკი მაშინდელი ოპოზიცია 200 ადამიანს აყვირებდა, თქვენ 400-ს რატომ არ აყვირებდით?

— როგორ შეიძლება, იმ დისკუსიაში ჩაერთო, მაგალითად, ჩინელი კარგია თუ ცუდი? ხაზს ვუსვამ: ჩვენ რევოლუციები განათლებაში, განსაკუთრებით, სკოლაში დავაგვიანეთ. ახლა კი, თუ დააკვირდებით, ეს ეკლექტური მთავრობა შე-ვიდრანდა ის ყოფილი ელტა და კრიმინალთან დაახლოებული საზოგადოებაა.

— კრიმინალთან სიახლოვეში ბრალს გივი თარგამაძე-საც სდებენ.

— მინახავს, ამ მთავრობის ლიდერები როგორ ესაუბრე-ბიან კრიმინალურ ავტორიტეტებს. როგორ შეიძლება, ჩვენ კრიმინალთან კავშირი დაგვებრალოთ, როცა ეს პრობლემა მოვაგვარეთ. არადა, ყველა ამბობდა, ქურდული ინსტიტუტის დამარცხება შეუძლებელიაო.

— სხვათა შორის, არსებობს ინფორმაცია, რომ „ვარდე-ბის რევლუციის“ დროს, მიხეილ სააკაშვილსა და ტარიელ ონიანს შორის გარკვეული კავშირი არსებობდა...

— ამის გჯერათ?

— მჯერა თუ არა, სხვა თემაა, მაგრამ ჩათვალეთ, რომ ყურნალისტი კი არა, ობივადელი გეკამათებათ...

— შეგვიძლია, ბევრ რამეზე ვიკამათოთ, თქვენ თქვენი პოზიცია გეტყვებათ, მე — ჩემი. არსებობს ჭეშმარიტება და არსებობს სიმართლე. ყველას თავის სიმართლე აქვს, იმას, თუ როგორ მივალნიოთ ჭეშმარიტებას, სხვა საკითხია და ძა-ლიან ფილოსოფიაში ნავალთ, მაგრამ აშშ-შიც არის ხალხი, რომელსაც სჯერა, რომ მაგალითად, 11 სექტემბერი მთავრო-ბამ მოაწყო და ელვის პრესლი ცოცხალია, თუმცა ეს ხალხი დომინანტი არაა.

საერთოდ, იმაში ცუდი, რომ სახელმწიფოს იდეოლოგია აქვს, არაფერია.

— **კი ბატონო, მაგრამ ეს იდეოლოგია ძალადობაზე უნდა იყოს დაფუძნებული?**

— ჩვენ იმაზე ვსაუბრობდით, რომ სახელმწიფო კულტივირება იდეოლოგიას, ნატო-ში ყოფნა კარგიაო, მაგრამ ახლა, როცა მთავრობამ გვერდზე გაინია, თავი იმ 25 პროცენტმა წამოყო, რომელმაც რეფერენდუმში ნატო-ზე უარი თქვა და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს პრობლემები საზოგადოების უმრავლესობაშია, მაგრამ სინამდვილეში, ასე არაა... ის ნაწილი, რომელიც პირველ ეტაპზე ჩვენს მიმართ აგრესიული იყო, დანყნარდა — ფული, თანამდებობა იშოვა და ახლა მესამე ეტაპზე ვართ, როცა აგრესიული ხალხი თავისი ფინანსური მდგომარეობითა და მთავრობაში ყოფნით ბედნიერია და აგრესიას ვეღარ კულტივირებს, დანარჩენი საზოგადოება კი დეპრესიაშია, ამას კვლევებიც აჩვენებს.

— **დეპრესია რაში გამოიხატება?**

— მაგალითად, ჩვენ იმის მეთაფესაც არ გვაპატიებდნენ, რასაც ახლა მთავრობა აკეთებს. პირდაპირ გეტყვი, რაც ახლა განათლების სამინისტროში ხდება, ამის მეთაფესაც არ მაპატიებდნენ.

— **ასეთი რა ხდება?**

— ფულის შოვნა, კორუფცია...

— **ამბობენ, რომ თქვენს დროს ელიტური კორუფცია მძვინვარებდა...**

— რაც დავთვალე, პირველ ორ წელში, ჩემს წინააღმდეგ 8 საქმე აღიძრა, ერთ-ერთი საქმე იმას ეხებოდა, თავდაცვის სამინისტროში ტორტს ვჭამდი თუ არა.

— **ჩემი ინფორმაციით, ბატონო დიმა, თქვენი გვარი იარაღის შესყიდვებში არ ფიგურირებს...**

— რადგან იარაღის შესყიდვებზე ხელმოწერა არ მქონდა, ჩემს მიმართ იძიებდნენ, 2012 წლის 8 აგვისტოს ტორტი ვჭამე თუ არა.

— **ტორტი გიყვართ?**

— დიაბეტი მაქვს და ძალიანაც რომ მომიხდეს, ტკბილს ვერ ვჭამ.

— **ჩვენში დარჩეს და, მეც დიაბეტი მაქვს...**

— დაცვის ბიჭები და ჩემი თანაშემწეები სამხედრო პოლიციაში ატარეს, თან საინტერესო ლოგიკა იყო: 2012 წლის 8 აგვისტოს, თავდაცვის სამინისტროში დაღუპული გმირების შვილებს მიღება გავუშართეთ. ახალმა სამხედრო პოლიციამ დათვალა, რამდენი ბავშვი იყო და რამდენი — ტორტის ნაჭერი და გაირკვა, რომ ერთი ნაჭრით მეტი იყო. ჩათვალა, ეს მინისტრის იქნებოდაო და დაცვის ბიჭებს დაკითხვაზე პირდაპირ ეკითხებოდნენ, მინისტრს ტორტის ნაჭერი აუტანეთ თუ არაო. ბოლოს, ვიდრე ერთ-ერთმა არ იყვირა, ამ კაცს დიაბეტი აქვს და თავი დაანებეთო, ეს სისულელე გრძელდებოდა.

რაც შეეხება განათლების ახლანდელ სამინისტროს, სადაც ფულს აკეთებენ, რომელზეც ტელევიზიითაც იყო ლაპარაკი, მაგრამ ამაზე საზოგადოება ინტერესულია.

— **ხალხი ამბობს, სამაგიეროდ, თავისუფლად ვსუნთქავო...**

— დღე არ გავა, ვილაცის პირადი საუბარი არ გამოქვეყნდეს და მაგრად თავისუფლად ვსუნთქავთ, არა?!

— **ძირითადად, ნაციონალთა საუბრები ქვეყნდება...**

— როცა ტორტის ნაჭრებს მითვლიდნენ, ვამბობდი, მე მოვითმენ, მაგრამ რა გარანტია გაქვთ, რომ ხვალ თქვენ არ დაგითვლიან-მეთქი. შეიძლება, ადეკვატურმა ადამიანმა იფიქროს, რომ ნაციონალებს უსმენენ და მას არა?

— **ნაციონალები ერთმანეთსაც უსმენდნენო. თქვენც გისმენენ?**

— რასაც ვფიქრობ, ღიად ვამბობ. აქედან გამომდინარე, არ ვიცი, ჩემი მოსმენა ვის რაში სჭირდება.

— **ახლა გამახსენდა: განათლების მინისტრი რომ გახდით, ერთი ამბავი ატყდა, სკოლებში პოლიციური რეჟიმი მკვიდრდებაო. აქვე, იმასაც გაგახსენებთ, სააკაშვილის ხელისუფლების ფარულ იდეოლოგიად რომ ითვლებოდით და თქვენი მიზანი, თურმე, ახალი ყაიდის ადამიანის გამოყვანა იყო...**

— მამრალეებდნენ, რომ მანდატურები სკოლებში პოლიტიკურ ტერორს ახორციელებდნენ. სამი წელი გავიდა, ჩემს დროს სულ 1200 მანდატური იყო, მაგრამ აქედან ერთიც ვერ ნახეს, რომელიც იტყობდა, შაშკინი პოლიტიკურ დავალებას მძღვლავაო.

სხვათა შორის, 2011 წელს, ჩემი ბრძანებით, იურიდიული დახმარების სამსახური შეიქმნა, რომელიც სახელმწიფო სისპი იყო და რომელიც სკოლებს იურიდიულ დახმარებას უწევდა. ერთ წელიწადში, ამ უწყებამ ბიუჯეტში მილიონ 800 ათასი შეიტანა. 2012 წელს, ეს სამსახური გააუქმეს. 2014 წელს მიხვდნენ, რომ იურიდიული დახმარების გარეშე მართვა შეუძლებელია, წელს, ივლისში, კერძო კომპანია შექმნეს, რომელსაც იგივე სერვისი დაავალეს, რომელსაც სახელმწიფო კომპანია აკეთებდა და ეს მილიონ 800 ათასი კერძო კომპანიაში გადავიდა, რომლის დამფუძნებელიც განათლების გენინსპექციის ხელმძღვანელის მოადგილის ნათესავია... კითხვა მაქვს: ეს კორუფცია არაა?

— **არ ვიცი, შეიძლება, არის, შეიძლება, არა, მაგრამ, ბატონო დიმა, მიპასუხეთ: იყავით სააკაშვილის ხელისუფლების ის ფარული იდეოლოგი, რომელიც ახალი ყაიდის ადამიანის „გამოყვანას“ ცდილობდა?**

— იდეოლოგი არ ვარ და არ მესმის, როგორ შეიძლება, იდეოლოგია დანერგო. განათლების სისტემაში იმას ვაკეთებდი, რისიც მეკრება.

— **რისი გჯეროდით?**

— მჯეროდა და მჯერა, რომ საქართველო ევროპის ნაწილია, დასავლეთთან უნდა იყოს და არა — რუსეთთან; ასევე, მჯეროდა და მჯერა, რომ კომუნისტურ განათლებაზე უარს

უნდა ვთქვათ. კომუნისტური განათლება ამბობდა, რომ ადამიანის წარმატების 80 პროცენტი სკოლაში მიღებულ ცოდნაზე და მოკიდებული, 20% კი — პიროვნულ თვისებებზე. ნებისმიერი დასავლური განათლება კი პირიქით ამბობს ანუ წარმატება 80%-ით პიროვნული თვისებების დამსახურებაა, 20%-ით კი — ცოდნის, მაგრამ ეს პიროვნული თვისებები ცოდნიდან გამომდინარეობს. მარტივად რომ ვთქვათ, თუ ადამიანი „ვეფხისტყაოსანს“ დაიზეპირებს, ეს წარმატებას არ მოუტანს...

— **იცით „ვეფხისტყაოსანი“?**

— დიახ, სკოლაში კარგად ვსწავლობდი — ხუთოსანი ვიყავი. თუ ადამიანი გაიზარებს, რა ჩადო შოთა რუსთაველმა „ვეფხისტყაოსანში“, ამ ცოდნის შედეგს მიიღებს... მჯეროდა და მჯერა, რომ სახელმწიფოს ბევრი რეგულაცია არ უნდა ჰქონდეს. ჩვენ ცხვრები არ ვართ, ლობე დაგვიწესონ და გვითხრან, როგორ უნდა ვიაროთ. ამ მთავრობას კი სჯერა, იმიტომაც მოსული, რეგულაციები შემოიღოს.

— **...ბატონო დიმა, თქვენი გვარი საქართველოში როგორ დამკვიდრდა?**

— მამაჩემი უკრაინულ ქალაქ უმანში დაიბადა. ბაბუაჩემი ოფიცერი იყო, რომელიც 1944 წელს, პოლონეთში დაიღუპა. მა-



მა ერთი წლის იყო, როცა საქართველოში მოხვდა და მას შემდეგ ნათესავებთან კავშირი, პრინციპში, ლიმიტირებული ჰქონდა.

— **მამა თავს ქართველად თვლის თუ უკრაინელად?**

— ჩვენ, ყველანი, საქართველოს მოქალაქეები ვართ... ამ კითხვაზე ყოველთვის ერთი პასუხი მაქვს: არსებობს წარმოშობა, მოქალაქეობა და ეროვნება...

— **უკრაინიდან, მიხეილ სააკაშვილისგან შემოთავაზება გქონდათ?**

— არა, თუმცა ოქტომბერში, ოდესაში, კონკრეტულ საკითხებზე ვმუშაობდი. მანამდეც რამდენჯერმე ვიყავი ჩასული.

— **მიწვევა უშუალოდ სააკაშვილისგან მიიღეთ?**

— არა, უკრაინელებისგან.

— **ისე, მიშასთან კონტაქტი გაქვთ?**

— კი, რა თქმა უნდა.

— **ანუ, ერთ მშვენიერ დღეს შესაძლოა, თქვენი ფარული ჩანაწერიც გამოქვეყნდეს?**

— ხომ გითხარით, რომ ყველაფერს ღიად ვამბობ და პრობლემა არ მაქვს, მომისმინონ! ეს ხელისუფლება ფარული ჩანაწერებით მოვიდა...

— **დავაკონკრეტოთ: ე.წ. ციხის კადრებით მოვიდა...**

— რომელიც დადგმულია. ერთადერთი, ნამდვილი კადრი, რომელზეც, საბედნიეროდ, კონსენსუსია, ე.წ. კარანტინის დაშლაა.

— **„კარანტინის დაშლა“ მაშინაც ხდებოდა, როცა სასჯელარსტელის თქვენ ხელმძღვანელობდით?**

— არა... „კარანტინის დაშლაში“ მონაწილე ხალხი ჩვენ დავაკავეთ, ამ ხელისუფლებამ კი გაუშვა! თუ მეკითხებით, შეცდომები დაშვებული იყო თუ არა, კი ბატონო, იყო, მაგრამ ამაზე ლაპარაკს აზრი აღარ აქვს, რადგან სამი წელი გავიდა და იმაზე უნდა ვიფიქროთ, მომავალში რა იქნება, რაც სერიოზული პრობლემაა. ქვეყანას, ჟარგონით რომ ვთქვა, აღარც დედა ჰყავს და აღარც მამა!

— **სამაგიეროდ, ჰყავს ბიძინა, რომელიც ბრუნდება.**

— პოლიტიკაში მეორედ მოსვლებზე სკეპტიკურად ვარ განწყობილი.

— **მამასადამე, ველარც ნაციონალები დაბრუნდებიან!**

— როგორც თქვენ ამბობთ, მეორედ მოსვლის შანსი ყველას აქვს, თუ ახალი მესიჯი ექნება, თორემ ძველი იდეებით მოსვლა შეუძლებელია. ნაცმოძრაობაც შევარდნაძის წინააღმდეგ ლოზუნგებით ვერ დაბრუნდება.

— **...ბატონო დიმა, თქვენი შვილები საქართველოში არიან თუ აშშ-ში?**

— არა, აქ არიან.

— **ერთხანობა, საქართველო დატოვეთ. რატომღა დაბრუნდით?**

— მაშინაც ვთქვი, იმიტომ წავედი, რომ ჩემთვისაც და ჩემი ოჯახისთვისაც სერიოზული პრობლემები ამერიდებინა. როცა დილემის წინაშე დავდექი, რომ ვილაც ნაძირალას, რომელიც ბავშვს შეურაცხყოფას აყენებს, უნდა ვესროლო, ვესერი.

— **იარაღს ატარებთ?**

— თუ გაინტერესებთ, ტარების უფლება მაქვს თუ არა, მაქვს. ის ადამიანი არ ვარ, რომელიც კონკრეტული ძალადობის წინაშე უკან დაიხევს — საბურთალოს ქუჩაზე გავიზარდე და ვიცხოვრე.

— **ისე, ითქვა, შაშკინმა „ოცნებასთან“ ურთიერთობა ამერიკელების დახმარებით დააღაგაო...**

— სისულელეა!..

— **თავდაცვის მინისტრი რომ გახდით, უწყებაში მეგის ქარდავა დაგხვდათ. მაშინ იცოდით, რომ სამხედრო პოლიცია ხალხს ანამებდა?**

— მეგის ქარდავამ სამინისტრო, თუ არ ვცდები, 1 სექტემბერს დატოვა — ჩემი თხოვნით, სხვა უწყებაში გადავიდა ანუ მასთან ორი თვე ვიმუშავე. ის სხვა ტიპის თანამშრომელი იყო,

მე კი სხვა ტიპის თანამშრომელი მჭირდებოდა. მეგის ქარდავა ჩემს გუნდში არ მოიაზრებოდა, კითხვები მქონდა და ამის გამო სამინისტრო დატოვა.

— **ბატონო დიმა, ნამების ის კადრები, რაც უკრაინულ საიტებზე გავრცელდა და თავის დროზე უურნალისტებს დახურულ შეხვედრაზეც გვაჩვენეს, ნანახი გაქვთ?**

— ასეთ კადრებს რომ უყურო, ავადმყოფი უნდა იყო!

— **ესე იგი, რაკი ეს კადრები მე და ბევრმა ჩემმა კოლეგამ ნახა, ავადმყოფი ვარ?**

— თქვენ, როგორც უურნალისტი, ვალდებული ხართ, გენახათ. მე, ჩვეულებრივმა მოქალაქემ ამაზრზენ საზიზღრობას, რომელიც ვილაც ავადმყოფის მიერაა გადაღებული, რატომ უნდა ვუყურო?!

— **იმიტომ, რომ თქვენს ხელისუფლებას ეხება!**

— ამაზე პასუხი ვაგეთ!.. 2012-ში, როცა აშშ-ში ვიყავი, სენატსა და კონგრესშიც, ბუნებრივია, ბევრი მეგობარი მყავს და ერთმა მითხრა, ახალი მთავრობის წარმომადგენლები იყვნენ, ამ კადრების დისკები დაგვირიგეს და ეგენი ავადმყოფები არიანო? ჩვენ არჩევნები წავაგეთ — პასუხი პოლიტიკურად ვაგეთ, მან კი, ვინც ეს ჩაიღინა, ახალ ხელისუფლებასთან ურთიერთობა ძალიან კარგად აწყობ, დაცვა დაყვებათ და სახელმწიფო ჩვენს ხარჯზე ამ ხალხს იცავს.

— **იმასაც ამბობენ, ნამების ე.წ. ხარისხიანი კადრები მიშასთან მიჰქონდათ და ექსპრეზიდენტი უყურებდაო...**

— რა სისულელეა! ეს იგივე ამბავია, რომ ელვის პრესლი ცოცხალია... ის პოლიტიკა, რომელიც ჩვენთან ხორციელდება, 90-იანი წლების რუსული პოლიტიკაა — ფარული და ამაზრზენი სექსუალური ჩანაწერები. საერთოდ, დღეს სახელმწიფო მანქანა გებელსის ცნობილი პრინციპით მუშაობს: პრობლემის არარსებობა, პრობლემის შეცვლა და გადაბრალება, თუმცა ხალხს ხვდება, მაგრამ ზოგი არ აღიარებს, რომ შეაცდინეს...

— **ბატონო დიმა, შეიძლება, რომელიმე პოლიტიკურ გაერთიანებაში გიხილოთ, მაგალითად, „გირიჩი“ გახდით?**

— არა! ამ ეტაპზე სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა პროექტზე ვმუშაობ, რაც ჩემთვის ძალიან საინტერესოა. ჩემი აზრით, ჩვენი ქვეყნისთვისაც ძალიან კარგ საქმეს ვაკეთებ. ჩემს მოსაზრებებსაც არ ვმაღავე და არ ვთვლი, რომ ჩემს სოცმხედველობას შევცვლი!

— **ბოლოს, ბატონო დიმა, ერთი კითხვა თქვენ დამისვით...**

— მოგწონთ, რაც ქვეყანაში ხდება?

— ბევრი რამ არც ადრე მომწონდა და არც ახლა მომწონს!

ეკონომიკური სარგებელი, როგორც საქართველო რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებით ნახავს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

რუსეთ-თურქეთის სამხედრო კონფლიქტი უკვე ეკონომიკურ სანქციებში გადაიზარდა — რამდენიმე დღის წინ, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლითაც თურქეთის წინააღმდეგ, სპეციალური ეკონომიკური ზომები გატარდება. ამ განკარგულებით, პრაქტიკულად, ორივე ქვეყანა დაზარალდება. ასეთი თუ ისე, რუსეთ-თურქეთის „ეკონომიკური ომში“ საქართველოს მინიმალური შანსი აქვს, ეკონომიკური სარგებელი ნახოს. საერთოდ, ამ თემის განხილვა გულგრილობა იქნება, რადგან რუსეთსა და თურქეთს შორის წლიური სავაჭრო ბრუნვა, დაახლოებით, 40 მილიარდი აშშ დოლარია და ჩვენ ამ მოცულობის რესურსი არ გვაქვს. შესაბამისად, ქართული პროდუქცია რუსეთისა და თურქეთის უზარმაზარ ბაზრებს მთლიანად ვერ უზრუნველყოფს, მაგრამ ჩნდება შანსი, ორივე ქვეყანაში ადგილობრივი პროდუქციის ექსპორტი მცირედით გაიზარდოს.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ლევან კალანდიაძე „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ რუსეთ-თურქეთის „ეკონომიკური ომიდან“ საქართველო მცირე სარგებელს უნდა ელოდეს; ამასთან, მიანიშნებს, რომ 2016 წელს, ხელისუფლებამ ახალი ეკონომიკური სტრატეგია უნდა შეიმუშაოს, თუმცა ვიდრე ეკონომიკური სარგებელი განვიხილავთ, ჯერ ის რისკფაქტორი უნდა გავიაზროთ, რაც ორი ქვეყნის პოლიტიკური დაპირისპირებას მოჰყვება. ლევან კალანდიაძის განცხადებით, რუსეთ-თურქეთის სამხედრო დაპირისპირებამ ეკონომიკური ელფერი უკვე შეიძინა, რაც გაისაზრდოვდა უფრო გულგრილად. როდესაც პოლიტიკური პრობლემა მნიშვნელოვანია, მის განსაზღვრებას კი ქვეყნების ხელისუფლებები ნაბიჯს არ დგამენ, ასეთი პრობლემა განსაკუთრებულ ეკონომიკურ ხასიათს იძენს, მით უმეტეს, თუ ამ ტიპის პრობლემურ ქეისის ერთ-ერთი მხარე რუსეთია:

„გვირგვინი თუ არა, რუსეთისა და თურქეთის ეკონომიკური ურთიერთობები ბზარის გაჩენა ნეგატიურად აისახება თავად ამ ქვეყნებზე. ბუნებრივია, ამ ქვეყნების ეკონომიკა არ ჩამოიშლება და რუსეთი ან თურქეთი ეკონომიკური კოლაფსის წინაშე არ დადგება, მაგრამ სერიოზული პრობლემები შეიქმნება. მაგალითად, თურქეთი ენერგომატარებლების, განსაკუთრებით გაზის მიწოდების თვალსაზრისით, პრობლემის წინაშე აღმოჩნდება, რადგან რუსული გაზის 60%-ს მოიხმარს. გარდა ამისა, რუსეთიდან თურქეთში ტურისტული ნაკადებიც მნიშვნელოვნად შემცირდება, არადა, ყოველწლიურად, რამდენიმე მილიონი რუსი ტურისტის ვიზიტი სავალუტო შემოსავლების სერიოზულ წყაროდ ითვლება. თავის მხრივ, თურქული პროდუქციის რუსეთში ექსპორტის შემცირების გამო, რუსეთშიც დეფიციტი შეიქმნება. ბუნებრივია, ეს ნეგატიური პროცესი ორი ქვეყნის ეკონომიკაზე, მათ ადგილობრივ ვალუტებსა და საგადასახდელო ბალანსზე უარყოფითად აისახება... ამიტომაცაა აუცილებელი, საქართველოს ხელისუფლებას ერთიანი ხედვა და სტრატეგია ჰქონდეს, რადგან თურქული ლირისა და რუსული რუბლის ცვლილება ქართულ ლარზეც უარყოფითად იმოქმედებს. რაც მთავარია, ორივე საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანაა და იქ განვითარებული ეკონომიკური პროცესები, როგორც მთავარი რისკფაქტორი ჩვენი ქვეყნისთვის, თავიდან უნდა ავიცილოთ“.

რისკფაქტორებს შორის უნდა განვიხილოთ ისიც, რომ ორი ქვეყანას შორის დაპირისპირების გამო, შესაძლოა, საქართველოში იქიდან ფულადი გზავნილები შემცირდეს. ლევან კალანდიაძემ „ვერსიას“ განუმარტა, რომ ქვეყანაში შექმნილი რთული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გამო, როგორც წესი, ფულადი გზავნილები მცირდება, თუმცა ამ პრობლემების მიუხედავად, რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებამ, შესაძლოა, საქართველოს გარკვეული ეკონომიკური სარგებელიც მოუტანოს. ცნობილია, რომ რუსეთ-საქართველოს დაპირისპირების შედეგად, თურქეთმა იხიერა. მას შემდეგ, რაც ქართული პროდუქციისთვის რუსეთის ბაზარი ჩაიკეტა, თურქული პროდუქციის ექსპორტი საგრძნობლად გაიზარდა — ქართული ხილ-ბოსტნეული და მწვანელი თურქულმა ჩანახატიც. ცხადია, თურქეთში რუსული პროდუქციისა და რუსეთში — თურქული შემცირებით, საქართველო ვერც ერთი ქვეყნის ბაზრის 100%-ით დაკმაყოფილებას ვერ შეძლებს, მაგრამ სულ მცირედითაც საგრძნობლად იხიერებს და ქვეყანამ ეს შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვას.

„სწორად ორგანიზებული, ე.წ. სმარტ გადაწყვეტილებების პირობებში, საერთო პრობლემიდან გამომდინარე, საქართველომ გარკვეული ლოგისტიკური შაბის ფუნქცია უნდა იკისროს, როგორც თურქეთში რუსეთიდან, ასევე რუსეთში თურქეთიდან შესატანი პროდუქციის ჩანაცვლების მხრივ. ეს შეიძლება განხორციელდეს, როგორც ადგილობრივი პროდუქციის ექსპორტის ზრდის, ასევე რექსპორტის თვალსაზრისითაც. მაგალითად, თუ ადგილზე შესაბამისი სიმძლავრეები არ გავაჩნია, რათა ქართული პროდუქცია რუსეთში ან თურქეთში გავიტანოთ, ბიზნესმა რექსპორტის ინსტრუმენტი უნდა გამოიყენოს — სხვა ქვეყნიდან საქართველოში იმპორტის შემდეგ, ეს პროდუქცია თურქეთსა და რუსეთში გაიტანოს. გამოირცხული არაა, რუსეთსა და თურქეთში გასატანი პროდუქცია ქართველმა მენარებებმა უშუალოდ ამ ქვეყნებიდანვე გაიტანონ, რისთვისაც საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყანას გამოიყენებენ. მცირედით შანსი, ქართული პროდუქციის ექსპორტი გაიზარდოს, რეალურია, რაც დამატებით შემოსავლის შესაძლებლობაა. შესაბამისად, ორი ქვეყანას შორის გაურკვევლობით

რა რისკფაქტორების გათვალისწინებას ურჩევს ღვეს კალანდიაძე მთავრობასა და ბიზნესს

უნდა ვისარგებლოთ და მოკლევადიან პერიოდში, ეკონომიკური სარგებელი მივიღოთ, რაც პრაგმატული მოსაზრებაა“.

მართალია, ამა თუ იმ პროდუქციის ექსპორტის ზრდაზე ზრუნვა სახელმწიფოს ფუნქცია არაა, მაგრამ ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდა მისი პრიორიტეტული მიმართულებაა. ამ მიზნით, ბიზნესის ხელშეწყობაზეც სახელმწიფომ უნდა იზრუნოს. მოკლედ, ღვეს კალანდიაძე საქართველოს მთავრობას ურჩევს, დროულად დაიწყოს ბიზნესთან კონსულტაციები და იმ პოზიტიური თუ ნეგატიური მხარეების გაანალიზება, რაც რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებას ახლავს. ამ ეტაპზე, ბიზნესის წინაშე უმთავრესი პრობლემა დგას — ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა, რაშიც მენარებებს სახელმწიფო უნდა დაეხმაროს. მარტივად, ეს იმას ნიშნავს, რომ დაფუძვთ, თუ რუსეთში ან თურქეთში ქართული პროდუქციის ექსპორტი გვსურს, მაგრამ არ ვიცით, ეს პროდუქცია სად დავასაწყობოთ და ისე როგორ შევიწახოთ, რომ არ გაფუჭდეს და ასე შემდეგ. ადგილობრივი პროდუქციის ექსპორტის ზრდის გარდა, საქართველომ შესაძლოა, ტურისტული ნაკადის კორექტირებითაც ისარგებლოს. ღვეს კალანდიაძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ გამოირცხული არ არის, 2016 წელს, საქართველოში რუსი ტურისტების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდოს, თუმცა ამას ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა კურორტზე მომსახურების ფასის არაადეკვატური ზრდა არ უნდა მოჰყვეს:

„კოორდინაციისა და ლოგისტიკის თვალსაზრისით, ხელი-სუფლება ამ მხრივაც უნდა დაეხმაროს ბიზნესს, რათა ერთობლივი ხედვები ჩამოყალიბდეს, თუმცა საბოლოოდ, ყველაფერი მაინც ბიზნესზეა დამოკიდებული. იმის მოლოდინში, რომ რუსეთიდან მთელი ტურისტული ნაკადი, თურქეთის ნაცვლად, საქართველოში წამოვა და სამუხაროდ, როგორც ვიცით ხოლმე, მომსახურების ფასს გავზრდით, უნდა გავაზრდოთ, რომ ეს არაპრაგმატული და უშედეგო გადაწყვეტილება იქნება. ამით იმ შესაძლებლობას დავკარგავთ, რაც შესაძლოა, თურქეთსა და რუსეთს შორის გართულებული ურთიერთობიდან მიგვევას. სწორედ ამიტომაცაა მნიშვნელოვანი, რომ ხელისუფლებასა და ბიზნესს შორის ამ საკითხებზე კომუნიკაცია შედგეს. ერთობლივად უნდა გაანალიზონ რისკები და მარკეტინგული სტრატეგია ჩამოაყალიბონ. მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესის კარგად ცოდნის პრეტენზია გვაქვს, რეალურად, ამ მხრივ, არც თუ დიდ გამოცდილება გვაქვს. ბიზნესის ცოდნა, კრიზისულ და რიტუალულ სიტუაციებში დროის სწორად შერჩევასა და ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღებას ნიშნავს. ამ მხრივ, ბიზნესს გარკვეული პრაქტიკა, გამოცდილება და ის უნარ-ჩვევები აკლია, რასაც კრიზის-მენეჯმენტის მართვა შეეძლება. აქედან გამომდინარე, ვის ურევები, რომ ახლა უფრო პრაგმატულები ვიყოთ, რათა უფრო მეტი სარგებელი მიიღოს ბიზნესმაც და ამ ბიზნესში დასაქმებულმა ადამიანებმაც“.

„ბლუმბერგის“ ანალიტიკოსები თურქული ლირის ვარდნის გაგრძელებასა და თურქეთის სერიოზულ სავალუტო კრიზისს უწინასწარმეტყველებენ. ლირის კურსის განსაკუთრებით მნიშვნელოვან და რეკორდულ ვარდნას „ბლუმბერგი“ 2016 წლის დასაწყისში პროგნოზირებს. ცხადია, თურქული ლირის ვარდნა ქართულ ლარზეც უარყოფითად აისახება, მით უმეტეს, შარშან და შარშანწინ, თურქეთის რუსეთთან რთული ურთიერთობა არ ჰქონია, მაგრამ ლირის დეველუაცია ჩვენი ქვეყნის ვალუტაზე უარყოფითად აისახება. ამ მხრივ, ყველაზე რთული ვითარება 2014 წელს იყო, როდესაც საქართველოს სამ ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაში — რუსეთში, უკრაინასა და თურქეთში ადგილობრივი ვალუტები გაუფასურდა. რუსეთსა და უკრაინაში — სამხედრო კონფრონტაციის, თურქეთში კი ეკონომიკური ვითარების გაუარესების შედეგად, რასაც საბერძნეთის ეკონომიკური კრიზისიც დაემატა. ახლა ეს რისკები გაცილებით გაიზარდა და თუ „ბლუმბერგის“ ანალიტიკოსებს დავეყრდნობით, 2016 წლის პირველ კვარტალში, საქართველოც მძიმე ეკონომიკური ვითარებაში აღმოჩნდება.

ღვეს კალანდიაძე: „ლართან დაკავშირებით გარკვეული ეგზოგენური რისკები (ინფლაციის საგარეო ფაქტორები) ფსკერზე დასული, მოთხოვნა-მომხარება დაბალანსდა და მეტ-ნაკლებად, ლარის ახალი კურსის წონასწორობა — 2.40-ის ფარგლებში, დაფიქსირდა, თუმცა 2016 წლისთვის, ამ მხრივ გარკვეული რისკები არსებობს და ხელისუფლება სწორედ ამ რისკებისა თუ გამოწვევების ფოკუსირებას ახდენდეს. რუსეთ-თურქეთის კონფლიქტი და აქედან გამომდინარე, თურქული ეკონომიკისთვის გარკვეული ნეგატიური ტრენდი, რაც იქაური ვალუტის შემდგომ დეველუაციაში გამოიხატება, საქართველოს მთავრობის ეკონომიკური გუნდს აქამდე იდენტიფიცირებული არ ჰქონია. რუსეთ-თურქეთის ეკონომიკური ურთიერთობების ყველა მოსალოდნელი ტენდენცია ვადაქვსავს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ თურქული ლირის გაუფასურება გავრძელდება, რასაც „ბლუმბერგისა“ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების პროგნოზებიც ადასტურებს. ბუნებრივია, საქართველოზეც საკმაოდ ნეგატიურად აისახება. ერთი, ჩვენ რას ვაკეთებთ, რას გავაკეთებთ და როგორ შეიძლება, ეს კრიზისი გამოვიყენოთ, მაგრამ სულ სხვაა, რომ ამ ფონზე, არც თურქეთია გულგრილადკრეფილი. ამ მხრივ საინტერესოა თურქეთის ელჩის განცხადება, რომლითაც რუსეთ-თურქეთის კრიზისის ფონზე, თურქეთი შეეცდებოდა, საქართველოში ექსპორტი ანუ ჩვენითვის იმპორტი გაზარდოს. შესაბამისად, თურქეთი მაქსიმალურად ეცდება, რომ ის დანაკარგი, რაც რუსეთის ბაზრის სახით ელოდება, სხვადასხვა ქვეყანაში საკუთარი პროდუქციის ექსპორტის გაზრდის ხარჯზე ააწაფლოს. როგორც ხედავთ, ორი ქვეყანას შორის დაპირისპირებით, საქართველოს გარკვეული შესაძლებლობები და უპირატესობები უჩნდება, მაგრამ ამავედროულად, ჩვენი ეროვნული ვალუტის ვადინების კუთხით, რაც საქართველოში თურქული იმპორტის ზრდას მოჰყვება, სერიოზული რისკის წინაშე ვდგებით. თურქეთის ელჩის ეს განცხადება, საკმაოდ სერიოზული რისკ-ფაქტორი და გამოწვევაა, რასაც ხელისუფლების ადეკვატური ნაბიჯები სჭირდება, როგორც განცხადებების, ისე — ქმედების დონეზე. შედარება-საშუალებებში, საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის, არჩილ მესტიერიშვილის განცხადებას გავეცანი, რომელიც ამბობს, რომ ქვეყანას ფასების სტაბილურობის საფრთხე არ ემუქრება. მესმის, ეს პოლიტიკური განცხადებაა და გათვლილია, რათა აეიოტაჟო არ შეიქმნას, მაგრამ „საქსტატის“ ბოლო მონაცემებით, საქართველოში ინფლაციის მაჩვენებელი დამაკმაყოფილებელი არ არის, პირაქით, გაზრდილია, რადგან პირველადი მოხმარების პროდუქტები და მედიკამენტები გაძვირდა. მეორე მხრივ, თურქული პროდუქტების გაღრმავების ფონზე, როდესაც ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი ამბობს, რომ ქვეყანას ფასების სტაბილურობას საფრთხე არ ემუქრება, ეს იმას ნიშნავს, მონეტარული პოლიტიკის დაკორექტირებას არ აპირებს, რაც არაადეკვატურ ნაბიჯად მიმაჩნია. მესმის, საზოგადოება პანიკაში არ უნდა ჩავაგდოთ, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ადეკვატურად მოვიქცეთ. მესტიერიშვილის განცხადების კონტექსტში აშკარად ჩანს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი თურქეთში არსებულ სავალუტო რისკს ქართული ლარის დეველუაციის რისკფაქტორად არ აღიარებს. ახლა მაინტერესებს, რას ფიქრობენ მთავრობის ეკონომიკური გუნდის წევრები, მათაც მიანიშნავს, რომ ასეთი რისკი არ არსებობს? დიახ, რუსეთ-თურქეთის კონფლიქტი ქართული ბიზნესისთვის დამატებითი შემოსავლების მიღების თვალსაზრისით, გარკვეული შესაძლებლობაა, მაგრამ ამავედროულად, სერიოზული რისკია ქართული ლარის მსყიდველობუნარიანობის შენარჩუნების თვალსაზრისითაც, თუმცა მთავარი ის კი არაა, რას გვიპასუხებს ხელისუფლება ჩვენ, ეკონომისტებს, მნიშვნელოვანია, რამდენად სწორად შეაფასებს არსებულ რისკებს და რას ვაკეთებთ მათ გასაწინააღმდეგებლად“.

პერსონალი

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს თანამშრომლებმა დაავადებული ბავშვებისთვის სისხლი გაიღეს



შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს თანამშრომლებმა აქციაში „გაილე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“ მიიღეს მონაწილეობა. სააგენტოს დირექტორი ზვიად ქანაშვილი, ცენტრალური აპარატის თანამშრომლები და მთავარი კონსტრუქციის სახანძრო-სამაშველო სამსახურის წარმომადგენლები „სისხლის ბანკის“ მეშვეობით ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს დაეხმარნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტრო საქველმოქმედო აქციაში უკვე მესამე წელია მონაწილეობს. მიზანი ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის საჭირო სისხლის და სისხლის კომპონენტების დეფიციტის შეტვირთვაა. საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო აქციაში „გაილე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“ მონაწილეობას მომავალშიც მიიღებს.

„ვერსიანიუსი“

თბილისის სამი საავადმყოფოს მართვაზე, ფლობასა და ოპერირებაზე გამოსხადებული ტენდერის საბოლოო შედეგები მალე გახდება ცნობილი

ბათო ჯაფარიძე

ონკოლოგიური ცენტრის, რესპუბლიკური და ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოების მართვაზე, ფლობასა და ოპერირებაზე გამოცხადებულ ტენდერში ყველაზე დიდი ინტერესი ავსტრიულმა კონსორციუმმა „ალფამედიკმა“ დაიმსახურა — სრული დოკუმენტაცია ვადებში სწორედ აღნიშნულმა კომპანიამ წარადგინა. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული ტენდერი რამდენიმე თვის წინ, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომ, საპარტნიორო ფონდის დახმარებით გამოაცხადა. განაცხადი სამმა კომპანიამ წარადგინა, რომელთა შორისაც ერთი კანადური და ერთი ქართული კომპანია იყო.

ამ ეტაპზე სატენდერო პროცედურა ჯერ არ დასრულებულა. როგორც საპარტნიორო ფონდში აცხადებენ, მიმდინარეობს მოლაპარაკება და შეთანხმება კონკრეტულ დეტალებზე, მათ შორის, რამდენიმე ტექნიკურ საკითხზე, რომელიც სამომავლოდ ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობასა და პოტენციურ ინვესტორს შორის თანამშრომლობის წარმატებით განხორციელებისთვის. საჭირო დოკუმენტაციის სრული პაკეტი და უფრო დეტალური ინფორმაცია, მაგალითად, როგორცაა ინვესტიციების მოცულობა, მხარეთა ვალდებულებები, მომზადების პროცესშია და ოფიციალური დოკუმენტი ჯერ არ გაფორმებულა, შესაბამისად, აღნიშნული სამი საავადმყოფოს რეკონსტრუქციის პროექტები და პროექტის განხორციელების ვადები ცნობილი მხოლოდ მას შემდეგ გახდება, რაც სატენდერო პროცედურა დასრულდება.

„ტენდერი ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მოწვეული უცხოური კომპანიის დახმარებით გამოცხადდა, სწორედ მან შექმნა სატენდერო პირობები და სრული მონიტორინგი განახორციელა. ტენდერში ერთი ავსტრიული, ერთი კანადური და ერთი ქართული კომპანია იყო წარმოდგენილი, ჯამში კი, სრული დოკუმენტაცია ვადებში ავსტრიულმა კომპანიამ წარმოადგინა და ახლა ამ კომპანიის წინადადება განიხილება. ამის შემდგომ გამოცხადდება ვადები და



ის, თუ რა იქნება მეორე ეტაპი, რა უნდა გააკეთოს ამ კომპანიამ და ასევე, სრული დოკუმენტაცია მისი ვალდებულებების შესახებ. მიმართა, რომ ეს ერთ-ერთი საუკეთესო გზაა საქართველოში ჯანდაცვის ჰოსპიტალური სექტორის განვითარებისთვის“, — განაცხადა საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა, დავით საგანელიძემ. სატენდერო მოთხოვნების შესაბამისად, ზემოაღნიშნული 3 კლინიკა დაპროექტებული, აშენებული და/ან რეკონსტრუ-

რებული უნდა იქნას ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად, მათ შორის, ალიქუროვის მაღალხარისხიანი სამედიცინო ტექნოლოგიებით.

გამარჯვებულმა კონსორციუმმა უნდა უზრუნველყოს განხორციელებული პროექტის JCI სტანდარტების შესაბამისად აკრედიტაცია, ხოლო პერსონალისთვის ატესტაციის გავლა და სწავლება პერსონალის განვითარების სპეციალური პროგრამის შესაბამისად. მთელი პროექტი უნდა წარიმართოს გაერთიანებულ სამეფოში მიღებული ჯანდაცვის მოდელის მსგავსად. პირობების მიხედვით, გამარჯვებული კონსორციუმი ვალდებული იქნება PPP-ს პრინციპით, სახელმწიფოსთან ერთად, მოახდინოს საავადმყოფოების მართვა, ფლობა და ოპერირება.

„ჩვენი ხედვა გლობალურია და ჩვენი მიზანია, გავითვალისწინოთ საერთაშორისო გამოცდილება, რაც უკვე დაგროვდა კონსორციუმის წევრების მიერ და დავნერგოთ ჩვენი საქმიანობა ევროპის გარეთ, რათა უზრუნველყოთ საზოგადოებრივ-კერძო პარტნიორობის (PPP) პროექტების წარმატებული განხორციელება. ეს ჯანდაცვის დონის ხანგრძლივ პერსპექტივაში ამოღებისა და სტაბილურობის გარანტიაა. „ალფამედიკი“ თავი მოუყარეთ ისეთ პროფესიონალებსა და კომპანიებს, რომლებიც მზად არიან, 21-ე საუკუნის შესატყვისი ჯანდაცვის სისტემები, მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას განავითარონ“, — ასეთია კონსორციუმის კრედიტორი საქმიანობასთან დაკავშირებით.

„ალფამედიკი“ წარმატებით ახორციელებს ჯანდაცვის რეფორმის პროგრამებს ეროვნულ დონეზე. ასეთ პროგრამებში მიზნები შეიძლება მოიცავდეს მეორეული ჯანდაცვის საშუალებების რეაბილიტაციას ან ჯანდაცვის ინტეგრალური მოდელის განვითარებას, რაც მოიცავს პირველადი ჯანდაცვის ქსელის განვითარებასაც. ანალოგიური პროექტების მიზანია, გააუმჯობესოს მოსახლეობა და გაუმჯობესდეს წვდომა ჯანდაცვაზე.

ტენდერი 3 საავადმყოფოსთან ერთად ითვალისწინებს ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი ჯანდაცვის სისტემის პირველადი რგოლების ქსელის დაპროექტებას, მშენებლობას, კლინიკურ მომსახურებასა და ინფრასტრუქტურულ მართვასაც. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული დეტალები გათვალისწინებულია პროექტში. ტენდერში გამარჯვებული კომპანია რესპუბლიკური საავადმყოფოს, ონკოლოგიური ცენტრისა და ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს მართვაზე, ფლობასა და ოპერირებაზე იქნება პასუხისმგებელი. იგეგმება საავადმყოფოების აღდგენა, რეაბილიტაცია და კადრების გადამზადება. ასევე, ახალი სამედიცინო სექტორის აღჭურვა.

ცნობისათვის, „ალფამედიკი“ ავსტრიული კონსორციუმია, რომელიც საზოგადოებრივ-კერძო (PPP) პარტნიორობის სრულციკლიან პროექტებს ახორციელებს და საამისოდ ჯანდაცვის სექტორის ევროკავშირის წამყვან პროვაიდერებთან თანამშრომლობს. კონსორციუმის ყოველი წევრი ჯანდაცვის სფეროში დიდი გამოცდილების მქონე საიმედო პარტნიორია. ჯგუფის საქმიანობა კი ემყარება 4 ძირითად პრინციპულ მიმართულებას: დიზაინი და პროექტირება, კონსტრუქცია, ექსპლუატაცია და ოპერირება.

კონსორციუმის წევრები, საზოგადოებრივ-კერძო პარტნიორობის მთელ რიგ კომპლექსურ პროექტებზე, მსოფლიოში ყველაზე ავტორიტეტული საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროვაიდერებთან მუშაობდნენ. მათ შორის, გაერთიანებული სამეფოს ნაციონალური ჯანდაცვის სამსახურთან. კონსორციუმის საქმიანობა ემყარება გაერთიანებული სამეფოსა და დასავლეთ ევროპის სტანდარტებსა და გამოცდილებას.

ჰიპერმარკეტ გორგიაში საახალწლო ფასდაკლებები დაიწყო



ჰიპერმარკეტ გორგიაში 3 დეკემბრიდან ასეულობით პროდუქტზე საახალწლო ფასები ამოქმედდა.

„ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, ჩვენი მომხმარებელი სხვადასხვა აქციებითა და ფასდაკლებებით გავანებივროთ. საახალწლოდ კი გადაწყვიტეთ, ჩვენ ერთგულ მომხმარებელს გრანდიოზული ფასდაკლებები შევთავაზოთ. ჩვენთან საძინებლის კომპლექტის შექმნა მხოლოდ 1318 ლარადაა შესაძლებელი და მისი შექმნის შემთხვევაში, მომხმარებელი საჩუქრად მიიღებს გასაშლელ დივანს, რომელსაც საკმაოდ დიდი სათავსო აქვს და ამასთანავე, დივანის ორი ბალიში მოჰყვება. გარდა ამისა, ჰიპერმარკეტ გორგიაში შიდა კარის შექმნა 117 ლარიდანაა შესაძლებელი. ჩვენთან ასეულობით პროდუქტზე ფასდაკლებები დაიწყო, რომელიც მთელი თვის განმავლობაში გაგრძელდება და სხვადასხვა პროდუქტის შექმნა ყველაზე იაფადაა შესაძლებელი“, — აცხადებენ ჰიპერმარკეტ გორგიაში.

ჰიპერმარკეტ გორგია სპეციალურად მათ, ვისაც საახალწლოდ თბილი კერა ჯერ არ მოუწყვია, ცენტრალური გათბობის სისტემას ყველაზე დაბალ ფასად სთავაზობს. გორგიაში კვადრატული მეტრის გათბობა 25 ლარიდანაა შესაძლებელი და რაც უფრო დიდია გასათბობი სივრცე, ფასი უფრო დაბლა იწევს. ამასთანავე 50-მდე სახეობის გაზის გამათბობლის შექმნა 389 ლარიდანაა შესაძლებელი. ლამინატის ფასი 11 ლარი და 40 თეთრიდან იწყება, ხოლო მათთვის, ვინც ახალ წელს ცვლილებებით ხვდება, შეუძლია თეთრეულის კომპლექტი 11 ლარი და 50 თეთრიდან შეიძინოს, ხოლო საბნები 15 ლარიდან. ეს იმ სააქციო პროდუქციის მოკლე ჩამონათვალია, რომელიც გორგიაში ყველაზე დაბალ ფასად შეგვიძლია შევიძინოთ.

აღნიშნული აქცია გორგიას სამივე ფილიალში — თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში მთელი თვის განმავლობაში იმოქმედებს.

მწარე რეალობაა, მაგრამ ფაქტია, რომ პატიმრებს თავისუფლებაზე დარჩენილი შეყვარებულები ხშირად უთხოვდებიან. უფრო მწარე კი ისაა, რომ იმ პატიმრებს, რომლებსაც დიდი სასჯელი აქვთ, ცოლები შორდებიან. ეს იმდენად მტკივნეული თემაა, რომ არავინ საუბრობს, რა თქმა უნდა, თუ თავად პატიმარი არ დაინწყებს ამაზე საუბარს. როგორც ჩანს, თავის დროზე კანონიერი ქურდები მიხვდნენ, რომ ამის გამო მათ ან ე.წ. კაი ბიჭებს სხვა პატიმრების თვალში შესაძლებელი იყო, ავტორიტეტი დაკარგოდათ. ამიტომ, ქურდულ კარბადინში ჩაიწერა, რომ ქურდს არ აქვს ოჯახი, არ ჰყავს მშობლები, ცოლ-შვილი... მისი ოჯახი ქურდული სამყაროა და ამის შემდეგ გაჩნდა პატიმრების სხეულზე „სულისშემძვრელი“ წარწერა: „არ ენდო ქალს!“

რა თქმა უნდა, ყველაფერ ამის პარალელურად არიან უერთგულესი ქალები, რომლებიც ციხეში მყოფ მეორე ნახევრებს ერთი და ორი წელი კი არა, მთელი ცხოვრება ელოდებიან. მაგალითისთვის, კობა ბ-ს, რომელსაც 15 წელი ჰქონდა მისჯილი, საცოლედ დაელოდა, 15 წლის მერე იქორწინა და ახლა წყვილს ორი ულამაზესი შვილი ჰყავს. მეორეს მხრივ, ეს ქალის მხრიდან დიდი რისკია. არავინ ისიც, რა განწყობაზე გავა პატიმარი ციხიდან, მოუხდება თუ არა ძველი სიყვარულის ცოლად მოყვანა და ა.შ. არიან ისეთებიც, რომლებიც ცნობილი სახეების ცოლად მოყვანაზე ოცნებობენ და არამარტო ჟურნალისტებს, არამედ, ახალგაზრდა პოლიტიკოსებსაც უამრავი წერილი მისდით ციხიდან, სადაც მოცლილი პატიმარი სიყვარულს ეფიცება, ერთგულებას უმტკიცებს და... კარგად თუ გაიხსენებთ, სწორედ ციხეში იქორწინა ქართული მოდის სამყაროს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა...

„ჭკვიანი კაცი ხარ და შენი აზრი მაინტერესებს. ვუშლიდი ცოლს, არსად წახვიდე-თქო, მაგრამ არ დაიჯერა და წასულა გუშინ თურქეთში სამუშაოდ. როგორ ფიქრობ, სამუშაოდ წავიდა თუ მისაცემად?“ — ზესტაფონელი პავლე პატიმარ №0578-ს მაშინ დაადაგა თავზე, როცა ეს უკანასკნელი ახალი გაღვიძებული იყო.

„სალამი, პავლე. სულელურ კითხვას მისვამ და რა გინდა ახლა, რომ გიპასუხო? რომ გითხრა, სამუშაოდ-მეთქი და იმან იქ ხორცის გაყიდვა დაიწყო, ხომ მეტყვი მერე, რატომ მომტყუეო. რომ გითხრა, ხორცის გასაყიდადა-მეთქი და ის კიდევ იქ მუშაობაში ცხრა პირ ტყავს იძრობდეს, ხომ მეტყვი, ჩემს ცოლს ბოზობა როგორ დააბრალო? ეგ შენ უნდა იცოდე, შენს ცოლს შენზე უკეთ არავინ უნდა იცნობდეს“, — ნარზე ნამოჯდა №0578.

„ვინ დაგაცადა მერე გაცნობა, ძამია, ვინ?“ — ჩუმად თქვა პავლემ.

ბოზი ნათიასა და ზესტაფონელი პავლიკას სიყვარულის აბაჯი

როგორ აბამენ პატიმრები პოდიციკოს დიაცებს



„კაცო, ცოლზე მეუბნები, გაცნობა ვინ დაგაცადა? ნორმალური ხარ შენ?“ — გაოცდა №0578.

„კი, ნორმალური ვარ. საქმეზე ვიყავით თელავში, ერთი კაცის ბაითი გავიტანეთ. მერე ქალები ავყარეთ, დავლიეთ, დილით სიღნაღში გამეღვიძა, ერთ-ერთ სასტუმროში, გვერდით ანგელოზით ქალი მენვა, კამოდზე კიდევ ქორწინების მონობა იდო. სიყვარულის ქალაქში დამინერა ჯვარი. მესამე დღეს კი დამიჭირეს და...“ — აღარ დაამთავრა პავლემ.

„მდაა... არიფი ყოფილხარ. იმიტომ კი არა, ვილაც ბოზზე რომ იქორწინე, იმიტომ, რომ საქმეზე იყავი და პასპორტი თან გქონდა“, — უთხრა №0578-მა.

„და შენ რა იცი, რომ თან მქონდა?“ — გაუკვირდა პავლეს. „ბიჭო, აბა, ხელს ვინ მოგანერინებდა ისე?“ — უთხრა №0578-მა.

„ჰო... გამყვან და რა მექნა, ხომ არ გადავადგებდი. ჰოდა, ახლა არ ვიცი, რა ვიფიქრო“, — ისევ დანაღვლიანდა პავლიკა.

„რა უნდა იფიქრო? უცხო ქალაქში უცხო ბოზები აყარეთ, დილით გაარკვიე, რომ ცოლად მოიყვანე, სამი დღე ბედნიერად ხმარობდი და ახლა, როცა შენ შვიდი წელი მოგარჩეს, იმას კი არაფერს არჭობენ, წავიდა, რა... დაიკიდე... ეგ არც სიყვარულის ღალატია, არც — ურთიერთობის. საერთოდ, ღალატი არ არის. რამდენი შენნაირი პავლიკა ეყოლებოდა იმას, მაგაზე თუ გიფიქრია? განქორწინება გააკეთე და დაისვენებ, რა“, — დაარია №0578-მა, მაგრამ...

„არ დამცინო, გთხოვ, არ დამცინო, მაგრამ... მიყვარს“, — ამოიკნავდა პავლიკამ.

„ჰოოო... — ნარზე ნამოჯდა №0578, — ეგ უკვე რთული შემთხვევაა, ძამო. რა გული გქონია, სამ დღეში ნამა როგორ შეიყვარე ისე, რომ ახლა იმაზე ნერვიულობ, ვინმე თურქი ხომ არ დახვნივს ზემოდანო“, — გააგრძელა №0578-მა, მაგრამ აქ მოხდა რაღაც ნარმოუდგენელი და გაუთვალისწინებელი: პავლიკამ ხელი მოუქნია კოლეგას და ნამონოლილ №0578-ს თავი რომ არ გაენია, სახეში მოხვდებოდა.

პატიმარი №0578 გვერდზე გადაინია, მუხლში მოკეცა ფეხი და პავლიკას სახეს დაუმიზნა, მერე მოიქნია და შეყვარებული ზესტაფონელი კამერაში გაგორდა. №0578 ნარიდან ნამოდგა, ასადგომად მომართულ ზესტაფონელს კიდევ ერთი ნიხილი ჩააზიდა და ვიდრე კამერიდან გავიდოდა, დაიბარა, აზრზე რომ მოვა ეს სირი, მაყურებლებთან ჩამოეთრიოს, იქ ვიქნებო.

დაახლოებით, ნახევარ საათში პავლიკა მაყურებლებთან ჩაიძურნა.

„ეს ვინ სცემს?“ — იკითხა მაყურებელმა, როცა ზესტაფონელის გამსკდარ ტუჩს შეხედა.

„მე ვცემე. იმიტომ არ გითხარით, რომ არ ეგონოს, წინანასნარ რამე მოვიფიქრეთ და შევეთანხმდით. მოუსმინეთ და მერე გადაწყვიტეთ, უნდა დამერტყა თუ არა თქვენს გარეშე ხელი?“ — უთხრა №0578-მა და ზესტაფონელსაც დეტალებში მოაყოლეს, რაც მოხდა.

„რა? ამას ხელი მოუქნე და იცი, ეგ ჩვენთან როგორ ისჯება? დაგაყენებ ახლა და დილაზე გიტყაპუნებთ, შე სირო... ვის აქვს უფლება, ილახმაროს და ხელეუბნოს? მით უმეტეს, ვილაც ძუკუნას გამო, მე იმის ბოზ დედას შევეცი“, — იღრიალა მაყურებელმა.

პავლიკას სახეზე შეეტყო, რომ ცოლის აუგად ხსენება არ მოეწონა, მაგრამ იცოდა, მაყურებლებზე რომ გაენია, ცოლს კი არა, საკუთარ თავსაც ვეღარ ნახავდა სარკეში.

„მოიცა, ერთი კახეთის რეგიონის მაყურებელს დაუძახეთ, ეგ მაგარი მუსუსია და შეიძლება, იცნობდეს შენს ცოლს“, — უცებ თქვა მაყურებელმა და ცოტა ხნის შემდეგ, კამერაში ტიპური კახელი შემოვიდა.

„რა ჰქვია შენს ცოლს?“ — ჰკითხა პავლიკას, რადგან ვინც დაუძახა, იმას გზაზე ყველაფერი მოყოლილი ჰქონდა.

„ნათია“, — ჩაილაპარაკა პავლიკამ და უბედურების მოლოდინში გაიწინა.

„ნათია ნახევარ კახეთს ჰქვია, რა გვარია, შე ჩემისა, შენა?“ — შეუტია რეგიონის მაყურებელმა და პავლიკამაც გვარი დაასახელა.

„აუფ... გავედი, ძამო, მე აქედან. №0578-მა ბოზიო, ცოლზე უთხრა და კინალამ მოკლა და მე ის რომ ვუთხრა, ნახმარი მყავს-მეთქი, მართლა მომკლავს. ბიჯო... არ არის ეგ ქალი, ძუკუნაა ეგ, ძუკუნა. თურქეთში ახლა კი არა, მეთად რეისზე მიდის. ნაჯდომია მამაშობაზე, მამლუქობაზეც ნაჯდომია, გესმის?“ — გააგრძელა კახელმა.

„რაზე ნაჯდომი?“ — დაინტერესდა ზონის მაყურებელი. „მამაშობაზე“.

„არა, ეგ გავიგე, მერე რა თქვი, რაზეაო?“ „მამლუქობაზე“.

„ეგ რა არის?“ — პირი დაალო მაყურებელმა. „ეეე, აზრზე არ ხარ, რა. ზვიჩა და გოჩა ხომ გაქვს ნანახი?! მამლუქი, რა. ჰოდა, მამლუქი გაყიდულ მონას ნიშნებს თუ თეთრ მონას, აღარ მახსოვს, იტოვებ, მონადა გაყიდული, რა. ამის ცოლი კიდევ ტრეფიკინგზე იჯდა ანუ მამლუქობაზე, რა. ეს ტერმინი რომ ჩამენაცვლებინა, მე მოვიფიქრე, ბრატ“, — ამყავდა თქვა კახელმა.

„ამას რა ვუყოთ?“ — პავლიკაზე ანიშნა ზონის მაყურებელმა კახელს.

„რა უნდა ვუყოთ? საცემრად უკვე აღარ ვარგა, მორალურადაც მოკვდა და ფიზიკურად კიდევ შენც ხედავ, რას ჰგავს. იაროს, ჩუმად იგლოვოს თავისი ბოზი ცოლი, ახლა რომ რომელიმე თურქზე როდოე აქვს გამართული“, — თქვა კახელმა და კამერიდან გასვლა დააპირა.

„მოიცა, კახელო. შენ საიდან ამდენი განათლება, მამელუქიო, როდოო... შენ არ ამბობდი, სამი კლასი მაქვს დამთავრებულიო?“ — გააჩერა №0578-მა.

„მერე კითხვა ხომ ვიცი და აქ ვკითხულობ, მისგულო“, — გაუცინა კახელმა, მერე მობრუნდა, პავლიკას ქერში ხელი ნაავლო და კამერიდან კინისკერით გაიყვანა.

თავისუფლებაზე გასულმა პავლიკამ საბუთები მოანესრიგა და ახლა თურქეთშია. ამბობენ, ჯინსების ქარხანაში მუშაობსო, თუმცა ცოლი იპოვა თუ არა, ვერ გეტყვით.

პერსიანიუსი

შს მინისტრი გიორგი მღებრივილი ოფისიალური ვიზიტით აშშ-ში გაემგზავრა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრივილი, 7-11 დეკემბერს ოფიციალური ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებს ეწევა. სამინისტროს დელეგაციის შემადგენლობაში ასევე არიან შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეები და სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის ხელმძღვანელები. ვიზიტის ფარგლებში გიორგი მღებრივილი შეხვედრებს გამართავს ქ. ვაშინგტონში აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორთან ჯეიმს ქოუმისთან და აშშ-ს სამართალდამცავი უწყებების ხელმძღვანელ პირებთან.

აღნიშნული შეხვედრების ფარგლებში განხილული იქნება აშშ-სა და საქართველოს სამართალდაცვითი სფეროს აქტუალური საკითხები, ისეთები როგორიცაა, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას თურქეთის რესპუბლიკის მიმართულებით ცდილობდნენ. გამოძიება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ბრალდებით დააკავეს. ბრალდებულები, სასაზღვრო-საკონტროლო გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას თურქეთის რესპუბლიკის მიმართულებით ცდილობდნენ. გამოძიება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 19-344-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით). გამოძიება სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველო ანარმოებს.



გიორგი მღებრივილი შინაგან საქმეთა მინისტრი

სასაზღვრო პოლიციამ საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მსდლობისთვის 4 პირი დააკავა

შს-ს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს და სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, მეორე სამმართველოს (ახალციხე) №6 სასაზღვრო სექტორის (კარნახი) დასაცავ მონაკვეთზე, ბანგლადეშის რესპუბლიკის 4 მოქალაქე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ბრალდებით დააკავეს. ბრალდებულები, სასაზღვრო-საკონტროლო გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას თურქეთის რესპუბლიკის მიმართულებით ცდილობდნენ. გამოძიება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 19-344-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით). გამოძიება სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველო ანარმოებს.



სამართალდამცავებმა მარნეულში პერიონი აპოილეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გარდაბნის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1976 წელს დაბადებული, ნარსულში სასამართლო ბაკირ ბ. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვისა და გადაზიდვის ბრალდებით გარდაბნის დააკავეს. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას, პოლიეთილენის პარკში შეფუთული, 0,47 გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 0,18 გრ ჰეროინს შეიცავს. ნარკოლოგიური შემონამების შედეგად დადგინდა, რომ ბაკირ ბ. დაკავებისას ნარკოტიკული საშუალების შემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვისა და გადაზიდვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“





ადვილი

სტანდარტი

რთული

ექსპერტი

9x9 grid with numbers 1-9, labeled 'ადვილი'.

9x9 grid with numbers 1-9, labeled 'სტანდარტი'.

9x9 grid with numbers 1-9, labeled 'რთული'.

9x9 grid with numbers 1-9, labeled 'ექსპერტი'.

ბაზიანი სასმელი ტვინს პნებს



ავსტრალიელმა მეცნიერებმა სიდნეის უნივერსიტეტიდან გაზიანის სასმელის გავლენა შეისწავლეს თავის ტვინზე. ახალმა კვლევებმა ცხადყო, რომ ამ სასმელის ჭარბი მოხმარება ტვინში ცილის დონეს ცვლის.

„ცელქი“ მასწავლებელი გაძიფრეს



შემთხვევა აშშ-ში, ქალაქ პიტსბურგში მოხდა. უნივერსიტეტის პედაგოგმა ნენსი ბრაუნმა პოლიციაში დარეკა და სამართალდამცავებს განუცხადა, თითქოს სასწავლებლის შენობაში ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო დამონტაჟებული.


რაც ვეღარ იღებს საჭირო ნამლებს, უსახსრობის გამო. სწორედ ერთ-ერთი ასეთი შეტყვის დროს გადაწყვიტა, ასაფეთქებლის ვერსია მოეგონებინა, იმედით, რომ მეცადინეობა ჩაიშლებოდა.

„ინფარქტის გენი“ აღმოაჩინეს

გერმანიის კარდიოლოგიური ცენტრის სწავლულებმა გენური ვარიაცია აღმოაჩინეს, რომელიც გულის შეტყვის რისკს 15%-ით ზრდის. მათი განცხადებით, ადამიანების ნახევარზე მეტი, შესაძლოა, გენის ამ ვარიანტის მატარებელი იყოს.



მათ „ნებოვანი თრომბოციტები“ აქვთ, რომელიც ინფარქტის რისკს ზრდის. როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, აღმოჩენა ხელს შეუწყობს პრეპარატების შექმნას, რომელიც თრომბოციტების „ნებოვნებას“ შეამცირებს და ამით გულის შეტყვის ალბათობაც საკმაოდ დაბალი იქნება.



ახალი სერვისი — განშორების მაღაზია

განშორება ახლოვებულ ადამიანთან ძალიან ძნელია და სწორედ მათთვის, ვისაც ამ ნაბიჯის გადადგმა უჭირს, შეიქმნა სპეციალური კომპანია „განშორების მაღაზია“.



ადვილი

8		6			3			
9	5	4	8				2	
	2							8
4			2	6				5
				1				
6				4	9			3
5							1	
	3				1	4	5	6
			6			2		9



სტანდარტი

	5			2				
		2						9
				1	6		7	4
	2	5		1	8		7	
	7		2	3		8	1	
3		7		8	2			
5							6	
				4				3



რთული

			4	7	2			
	6	3	8		7			
		4				9		
8				5		4	2	
	4		9		1		6	
2	6		8					9
7						5		
	2				8	6	3	
8	5	2						



ექსპერტი

		1						5
				3	6			
2			8			3		
				4		2		8
8		2		9		4		3
7		9		2				
		7			9			6
			4	8				
9							7	

მძობლიური ენის დაინყუბა მუქლქელია

ბავშვები, რომლებმაც მცირე დრო გაატარეს მშობლიურ გარემოში, მეტყველებას ისევე სწავლობენ, როგორც ბილინგვები (ვინც ბავშვობიდან ორ ენაზე ლაპარაკობს). მშობლიური ენა ადამიანის ტვინში წარუშლელ კვალს ტოვებს, — ამტკიცებენ სწავლულები. მათ კვლევები მონაწილეობდნენ 10-დან 17 წლამდე მოზარდები. ისინი სამ ჯგუფად დაყვეს: პირველი — ბავშვები, რომლებიც დაიბადნენ და გაიზარდნენ ოჯახებში, სადაც ფრანგულად ლაპარაკობდნენ, მეორე — ბავშვები, რომლებიც ჩინეთში დაიბადნენ, მაგრამ სამ წლამდე ფრანგულადმოლაპარაკე ოჯახებში აღმოჩნდნენ. ეს პატარები ვერ ლაპარაკობდნენ ჩინურად და მესამე — ბავშვები, რომლებიც ორივე ენაზე ლაპარაკობდნენ. მათ დავალებები მისცეს და დროდადრო მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის მეშვეობით მათი ტვინის აქტივობას აკვირდებოდნენ. დავალებას ბავშვები ერთნაირად კარგად ართმევდნენ თავს, თუმცა, ტვინის აქტივობა განსხვავებული ჰქონდათ. ჩინელი პატარები, ვისაც დიდი ხანია არ ულაპარაკია მშობლიურ ენაზე, ისევე კარგად ართმევდნენ თავს დავალებებს, როგორც ორენოვანი მონაწილეები.



ყველასზე თავზახანი სელენრიიები



პოპულარულმა ბრიტანულმა გამოცემამ The Sun კარგად აღზრდილი ცნობილი ადამიანების რეიტინგი გამოაქვეყნა. ამ საპატიო სიის სათავეში ბრიტანელი პრინც უილიამის მეუღლე ქეთი მიდლტონი მოექცა. ეს ახალგაზრდა ქალბატონი დახვეწილი მანერებით გამოირჩეოდა მანამდეც, ვიდრე მონარქის ოჯახში შევიდოდა. ნისლიანი ალბონის სუსტი სქესის წარმომადგენლების უმეტესობა სწორედ ქეთის მიბაძვას ცდილობს. რეიტინგის მეორე საფეხურზე, რაც უნდა გასაოცარი იყოს, კანადელი მომღერალი ჯასტინ ბიბერი გავიდა. თინეიჯერების საყვარელი ვარსკვლავი, თურმე თავყანისმცემლების მიმართ შესაშურ თავზახანობას იჩენს. თავზახანი ცნობილების ტოპ-ხუთეულში მოხვდნენ, ასევე, მომღერლები პოლა აბდული, ტელიორ სვიფტი და მსახიობი ემა უოტსონი.

ამერიქალაზა სიბერის საწინაღმდეგო ჰრეპარაბს გამოცლიან



აშშ-ში იგეგმება მასობრივი გამოცდა ჰრეპარატისა, რომელიც დაბერების პროცესს აფერხებს. მომავალი წლის დასაწყისიდან ამერიქელი მკვლევარები წამლის ტესტირებას სამი ათას ადამიანზე აპირებენ, რომელთა ასაკი 70-80 წელია და რომელთაც სიმსივნის, გულის დაავადებისა და ასაკობრივი გონებასუსტობის დაგნოზი აქვთ დასმული. ახალი ჰრეპარატი ცხოველებზე უკვე გამოსცადეს და შედეგები დამაიმედებელი აღმოჩნდა. მას შეუძლია სიცოცხლის 50%-ით გახანგრძლივება, — აცხადებენ მეცნიერები.

წინა ნოქარში გასული სქანვორდისა და სულოქუს პასუხები

ადვილი

3	2	8	9	1	7	6	5	4
4	7	6	2	8	5	9	3	1
1	9	5	4	6	3	8	2	7
9	6	4	5	7	1	3	8	2
2	1	3	8	9	6	7	4	5
8	5	7	3	4	2	1	9	6
7	8	9	6	5	4	2	1	3
6	4	2	1	3	9	5	7	8
5	3	1	7	2	8	4	6	9

სტანდარტი

8	9	7	4	3	6	5	2	1
2	5	6	1	9	8	4	7	3
4	3	1	7	5	2	9	8	6
5	1	9	6	8	7	3	4	2
7	4	3	5	2	1	6	9	8
6	2	8	3	4	9	1	5	7
3	7	2	9	1	5	8	6	4
1	8	5	2	6	4	7	3	9
9	6	4	8	7	3	2	1	5

მე-10 გვერდი: 1. მტყვანი; 2. ტროტილი; 3. ვატმანი; 4. ნეკი; 5. კრანახი; 6. რემატიზმი; 7. ნუტრია; 8. ხარო; 9. კორტიკი; 10. ლენცოფა; 11. თინა-თინი; 12. ვიქტორია; 13. „ავატარი“; 14. ტრავერსი; 15. ლუკასი; 16. ჩირი; 17. თალია; 18. ლიტაო; 19. ლენინი; 20. ტრაური; 21. ნინია; 22. ელმავალი; 23. მანტილია; 24. ირა; 25. დილოგია; 26. ალამი; 27. ანტალია; 28. მაკეტი; 29. ნოიერი; 30. ზვიადი; 31. თაობა; 32. დანია; 33. კაირო; 34. კლიარი; 35. მალა; 36. იორდანე; 37. ერი; 38. ოტია; 39. მერსი; 40. ნიავი; 41. ვაი; 42. აფრა; 43. იაფეტი; 44. ალი; 45. ავა; 46. ვალი; 47. მიზანა; 48. ელი; 49. ტოროლი; 50. ილი; 51. იუმი; 52. ზუა; 53. ზაზა; 54. ჭა; 55. ელიოზი; 56. ბუა; 57. ზიარება; 58. ალჩუ; 59. იამანიძე; 60. რუ.

მე-12 გვერდი: 1. ბრძენი; 2. რუბიკონი; 3. ისიკავა; 4. იშთარი; 5. შუბლი; 6. ამაგი; 7. აბორტი; 8. ომონიმი; 9. ბრა; 10. აზზაცი; 11. ქალი; 12. სტიქია; 13. კობრა; 14. რეი; 15. ამუნდსენი; 16. ტეკილა; 17. სბირი; 18. ლომე; 19. რესპუბლიკა; 20. ლებარდე; 21. მარლონ; 22. რობერტ ლევანდოვსკი; 23. სალაფავი; 24. იაზონი; 25. ესაია; 26. ელე; 27. ნიუ; 28. ალი; 29. ბოლიდი; 30. ლივ; 31. სარაბანდა; 32. „დაისი“; 33. რაფელუა; 34. სალსა; 35. დია; 36. კომა; 37. ევა; 38. მავრი; 39. ხმალი; 40. ეკიუ; 41. კომბალი; 42. სოფია; 43. ატლანტა; 44. მადამ; 45. ნოვიხი; 46. ოტია; 47. ნიყვი; 48. დიუნანი; 49. ბანდა; 50. ლენდლი; 51. ეტი; 52. ილიამნა; 53. პიპია; 54. პელე; 55. ამა; 56. ლუსაკა; 57. ელ; 58. რაიო; 59. ნოკია; 60. ამფორა; 61. მაილსი; 62. აკა; 63. ტრავერტინი; 64. პოლიანა; 65. აბულია; 66. მარაო; 67. ბორისი; 68. ბესიკი; 69. ლავა; 70. რასპე; 71. ოლდ; 72. მოა; 73. ისლი; 74. ბონდი; 75. სმოგი; 76. პალტო; 77. იოდი; 78. ოე; 79. მაია; 80. სევე; 81. მინსკი; 82. სი; 83. თმა; 84. ოგრი; 85. „აიდა“; 86. იენა.

ადრე გადვიძება გულისთვის მავნეა

სწავლულებმა ამომავალი მზის ქვეყნიდან დაამტკიცეს, რომ თუ ადამიანი იძულებულია დილით ადრე გაიღვიძოს, ეს ნეგატიურ გავლენას ახდენს გულისსხლძარღვთა სისტემაზე. გარდა ამისა, მეცნიერებმა ადრეც დაამტკიცეს, რომ გავლიძების დრო მჭიდრო კავშირშია ადამიანის ჯანმრთელობასა და მისი განწყობის ასპექტებთან. ამიტომ ამ ფაქტორს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. იაპონელი მკვლევარები მიიჩნევენ, რომ თუ ადამიანს აქვს საშუალება, დილით ცოტა ხანს კიდევ იწვეს ლოგინში, უარი არ უნდა თქვას ამ სიამოვნებაზე. ფართომასშტაბიანი გამოკვლევები ჩაატარეს კიოტოს სხვადასხვა კლინიკის სპეციალისტებმა და გარკვეეს, რომ თუ ადამიანს ადრე უწევს ადგომა, გულის დაავადებების რისკი უზრუნველდება, ძილის მოყვარულებს კი, ვისაც ამის საშუალება აქვს, მსგავსი რამ არ ალენიშნებათ. ასეთი დასკვნები ექსპერტებმა უამრავი ადამიანის დაავადებათა ისტორიის შესწავლის შემდეგ გააკეთეს. იაპონელებს ამერიქელი კოლეგებიც ეთანხმებიან. პენსილვანიელმა სპეციალისტებმა გარკვეეს, რომ სისტემატურად ადრე გაღვიძება ზრდის დატვირთვის გულზე და ამის გამო იზრდება მისი დაავადების განვითარების რისკიც, რაც ზოგჯერ ლეტალურ შედეგსაც იწვევს.

